# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი სამშაბათი 23 მაისი 2006 №115 (2737) ფასი 50 თეთრი

# ა-მე-რი!



# მიდი მიდი მიდი მიდი!

შენ ყველაზე მაგარო,
შენ ყველაზე ჯიგარო,
იცოდე, რომ
გამარჯვების გოლი,
შენ უნდა გაიტანო!



# რა ქალის სურნელი!




## ღმერთო ჩემო, მე ამას თქვენ გიყვებით?!

## კრის ევერტის ექსკლუზივი სარბიელთან





# ამერშოუ

ყველა საქმეს ცოდნა უნდა — გუშინ „ამერის" მიერ მიწვეულმა საფეხბურთო ბომონდმა საქართველოს თასის გათამაშებაში გამარჯვება კიდევ ერთხელ აღნიშნა და, რაც მთავარია, ეს საღამო ერთი რიგითი ქართული ქეიფის ნაცვლად მთელი საფეხბურთო ოჯახის დღესასწაულად აქცია.

სადღეგრძელო? კი ბატონო! მოფერება? რა თქმა უნდა! თუმცა ამ ყველაფრის მიღმა ქართული ფეხბურთის სიყვარული იდგა, რომელიც „ნიკოლშოუს" ახალ სიმღერაში აისახა! სიმღერა, რომელიც აუცილებლად გაჰიტდება — ამგვარი იყო შეფასება...





## გინდათ სიონის 40 პროცენტი?

**საინტერესო** და მნიშვნელოვანი ინფორმაცია: ბოლნისის „სიონის" გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა გვითხრა, რომ „სიონის" პაკეტის 51 პროცენტის მფლობელმა რაიონის გამგეობამ და 49 პროცენტის მფლობელმა ფიზიკურმა პირმა გიორგი ლომთაძემ კლუბის პაკეტის 40 პროცენტის გაყიდვა გადაწყვიტეს.

„ეს კეთდება საფეხბურთო კლუბის მენეჯმენტის ოპტიმიზაციის მიზნით. მოგეხსენებათ, „სიონი" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზეა გასული და ამდენად, კლუბის 40 პროცენტის შეძენა პერსპექტიული საქმე იქნება" — ასეთია განცხადება.

და კიდევ, ჭიპაშვილის ცნობითვე, ბოლნისის „თამაზ სტეფანიას" სტადიონზე გუშინ რეკონსტრუქცია დაიწყო. სავარაუდოდ, ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ საშინაო მატჩს „სიონი" თბილისში ჩაატარებს, რადგან საეჭვოა, იქამდე რეკონსტრუქცია დასრულდეს.

**ილია ნანოგაშვილი**

ქართული ფეხბურთის ამაგდარ კაცს,
ღირსების ორდენის კავალერს, მრავალი
თაობის დამაფრთიანებელ მწვრთნელს
**ჯემალ გაბისონიას**
ვულოცავთ 65 წლის იუბილეს. ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და კიდევ ბევრი კეთილი საქმის კეთებას ვუსურვებთ.

ფეხბურთის კლუბი „ამერი" და „სარბიელი"
დაოჯახებას ულოცავენ ამერელ
**დავით სევასტოპულოს და ლიკა ხვედელიძეს.**
ახალშექმნილ წყვილს ბედნიერებას, სიხარულს
და ბევრი შვილის ყოლას ვუსურვებთ

### ირლანდია
პრემიერდივიზიონი
XI ტური
**დუბლინ სიტი 2:1 დუბლინი**

### ფინეთი
ვეიკაუსლიგა. VI ტური
**მიუპა 3:0 კუოპიო**
**ტამპერე 2:2 მარიეჰამნი**

### ნორვეგია
ტიპელიგა. IX ტური
**ჰამ კამი 1:1 ვოლერენგა**

# ამერში ამასაც მივაღწევ

## დავითაშვილმა ფოტოგრაფებს სურათი გადაუღო

აქამდე თითქოს არ გაგვიმახვილებია ამაზე ყურადღება, არადა, 28 წლის სულიკო დავითაშვილს კარიერაში არც ერთი მატჩი არ გაუმართავს არაქართული გუნდის შემადგენლობაში. მისი „ნამსახურებათა ნუსხის“ და მონაცემების პატრონს საშუალო დონის უცხოური გუნდის მოძებნა ნამდვილად არ უნდა გასჭირვებოდა. თუმცა „აბრეზამ“ ამჯერადაც საქართველოში თამაში არჩია და ორი დღის წინ თბილისის „ამერთან“ ახალ, სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი...



— სხვა კლუბებიდან შემოთავაზებები თუ გქონდა?

— მსურველები კი იყვნენ, მაგრამ მხოლოდ ზოგადი საუბრების და სატელეფონო ზარების დონეზე. ასეთ ვითარებაში საუკეთესო გადაწყვეტილება „ამერში“ კარიერის გაგრძელება იყო. ვიცი, რომ საქართველოში „ამერზე“ უკეთეს პირობებში ვერ მოვხვდები, წლიდან წლამდე ყოფნა-არყოფნაზე მოფიქრალ გუნდში კი თავად არ მსურს გადასვლა. დარჩენის უმთავრესი მიზეზი მაინც ის არის, რომ „ამერში“ ჩემი სჯერათ. როცა კლუბის ხელმძღვანელობა გეუბნება, ჩვენთვის გოლებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი მოედანზე შენი ყოფნა, ახალგაზრდა ბიჭებისთვის მაგალითის მიცემააო, სერიოზული მიზეზის გარეშე წასვლა უაზრობაა.

— ორი სეზონი უკვე ჩაატარე „ამერში“, ახალი კონტრაქტი კიდევ სამ წელს ითვალისწინებს, ერთ კლუბში ამდენ ხანს თუ გაჩერებულხარ?

— „მერანში“ შვიდი სეზონი ვითამაშე, ასე რომ, მაინცდამაინც გუნდიდან გუნდში ხეტიალის მოყვარული არ ვარ.

— ორჯერ გახდი საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირი, შენი წილი გასატანი ყოველთვის გაგქონდა და ასეთ დროს გასაკვირია, უცხოეთში სათამაშოდ რომ არ წახვედი. მსურველები არ ჩანდნენ თუ თავად არჩიე ასე?

— ახლა იმ ასაკში აღარ ვარ, ვინმეს ჩავაკითხო და გუნდში ამიყვანეთ-მეთქი, შევეხვეწო. ორი დღის წინაც შემომთავაზეს ყაზახეთის ვარიანტი — მზა კონტრაქტია, მაგრამ ერთ-ორ ვარჯიშში უნდა მიიღო მონაწილეობაო. ასეთი შემოთავაზებების იმედი ნაკლებად მაქვს, ყველაზე რეალური შანსი კი რვა წლის წინ მქონდა, როცა ბულგარული ცეესკა მართლაც გამზადებულ კონტრაქტს მთავაზობდა. მე და ჩემს მენეჯერს კლუბის წარმომადგენლებმა კონტრაქტი აეროპორტშივე დაგვახვედრეს, მენეჯერს იქვე გადასცეს „მერანისთვის“ ჩემში გადასახდელი თანხაც. როგორც ჩანს, მან იფიქრა, მეტიც შეიძლება ავიღოო და ბულგარელებს ახალი პირობები წაუყენა. თანახმანი იყვნენ, მაგრამ ასეთ ვითარებაში ერთი-ორჯერ გუნდთან უნდა ივარჯიშოს, კონტრაქტს ამის შემდეგლა გავაფორმებთო. დავთანხმდით, თუმცა იმავე დღეს ფეხი ვილრძე და შეთანხმებაც ჩაიშალა. ძალიან განვიცადე ეს ამბავი — პენევის ცეესკაში მოხვედრა ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის სერიოზული შანსი იყო.

— სამაგიეროდ, საქართველოში ყოველთვის ყველასთვის სასურველი ფეხბურთელი იყავი...

— თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ, სადაც ვითამაშე, გოლების გარდა ჩემი სახელი და კაცობაც დავტოვე. კლუბები კი გამომიცვლია, მაგრამ ყოველთვის რაღაც სხვა, არასაფეხბურთო გარემოებები იყო ხოლმე წამოსვლის მიზეზი. პირდაპირობა და სიმართლის თქმა მიყვარს, რაც ზოგჯერ პრობლემებს მიქმნიდა ხელმძღვანელებთან ურთიერთობაში.

— რადგან „ამერს“ ახალ კონტრაქტზე ადვილად შეუთანხმდი, ამ მხრივ პრობლემები არ უნდა გქონდეს...

— სწორად გამიგეთ, ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ დღეს „ამერის“ ფეხბურთელი ვარ: ასეთი ვითარება არც ერთ ქართულ გუნდში არ ყოფილა. თასის ფინალის წინ ლამის ყოველ მეორე დღეს გვიხდებოდა კლუბის პრეზიდენტთან საუბარი. ზურაბ ფოცხვერია ყოველთვის იმას გვიმეორებდა, შეიძლება ფინალი წავაგოთ, მაგრამ ამისგან ტრაგედიას ნუ შექმნით, მუშაობა ჩვეულებრივ უნდა გავაგრძელოთო. ამან ერთის მხრივ ფსიქოლოგიური ტვირთი მოგვიხსნა, მეორე მხრივ კი ჟინი შეგვმატა — ხელმძღვანელობისგან ამგვარი დამოკიდებულება მეტ პასუხისმგებლობასაც გაკისრებს.

— თასის ფინალს ბუნებრივად მივადექით. ძირითადი დროის დასრულებამდე ათი წუთით ადრე შეგცვალეს. არ ნანობდი, მოედნიდან ასეთ დროს რომ გადიოდი?

— ვნანობდი კი არა, ვტიროდი. საკაცით რომ გავყავდი, ბიჭებს ვეხვეწებოდი, ოღონდ ახლა გადამარჩინეთ და მოიგეთ-მეთქი. საშინელ დღეში მქონდა კუნთები. შემეძლო, ის ათი წუთი უბრალოდ ვმდგარიყავი მოედანზე, მაგრამ იმ სიტუაციაში მორბენალი ფეხბურთელი გვჭირდებოდა და შეცვლა თავად ვითხოვე. არადა, წინათგრძნობა მქონდა, თუ მოედნიდან გავიდოდი, რაღაც აუცილებლად მოხდებოდა, თითქმის დარწმუნებული ვიყავი ამაში.

— რის ხარჯზე აჯობეთ „ზესტაფონს“?

— ისეთი თამაში იყო, ყველაფერს თუ არა, ბევრ რამეს პირველი გოლი წყვეტდა. მატჩამდე ბევრი შანსებს 70-30-ზე აფასებდა ზესტაფონელთა სასარგებლოდ. პირველმა გოლმა კი 70 პროცენტი ჩვენი გახადა. მეტოქეს სულ სხვა ტაქტიკით მოუწია თამაშმა და ამან ხელფეხი გაგვიხსნა. მეორე გოლი ხომ ულამაზესი გავიტანეთ და ამის გარდაც გვქონდა შანსები. ფოტოკორესპონდენტები თავის საქმეში ალღოიანი ხალხია — მეორე ტაიმის დასაწყისში უფრო მეტი ფოტოგრაფი „ზესტაფონის“ კარს უკან იდგა, რადგან გოლს იმ კარში ელოდა...

— შენს მიერ ნათამაშევიდან ეს ყველაზე რთული ფინალი იყო?

— ალბათ ყველაზე დრამატული, მაგრამ პირადად ჩემთვის ორი წლის წინანდელი ფინალი არანაკლებ მძიმე იყო. „ტორპედოში“ ვთამაშობდი და „დინამოსთან“ გადამწყვეტ მატჩში ანგარიშიც გავხსენი. მეორე ტაიმის დასაწყისში ზუსტად იგივე პოზიციიდან ბურთი ამეჭრა და ველარ გავიტანე. „დინამოს“ გასაგდები კაცი არ გაუგდეს, ჩვენ — პირიქით, იღბალმაც ზურგი გვაქცია და წავაგეთ. ჩემთვის ნამდვილი ტრაგედია იყო, ერთი კვირა ცუდად ვიყავი და სახლიდან გამოსვლა არ მინდოდა.

— ევროტურნირებზე აქამდეც გითამაშია, საკუთარი სტატისტიკა თუ გახსოვს?

— რამდენი თამაში დამიგროვდა ვერ გეტყვი, მაგრამ ერთი გოლი უეფას თასზე მაქვს გატანილი და ერთიც ინტერტოტოზე. ისე, ბევრი მატჩი არ მიგროვდება. რამდენჯერმე სეზონი ისეთ გუნდში ჩავამთავრე, ევროსაგზური რომ მოიპოვა, მაგრამ მიზეზთა გამო ამ გუნდის დატოვება მიხდებოდა და...

— ქართულ ფეხბურთს „შიგნიდან“ შენზე უკეთ ალბათ ბარე ორი არ იცნობს. რას იტყვი, ერთ ადგილს ვტკეპნით, უკან მივდივართ თუ არის საიმედო ნიშნები?

— რამდენიმე ქართულ გუნდში მითამაშია და ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: ერთწლიანი გუნდები სანამ გვეყოლება, წინ ვერ წავალთ. მოდის კაცი ფეხბურთში, დებს ფულს, მაგრამ თუ იმავე სეზონში არ მიიღო შედეგი, ქუდს დაიხურავს და მიდის. ასეთები წლევანდელ ჩემპიონატშიც საკმარისზე მეტი იყვნენ. ისეთი კლუბების ჩამოყალიბებაა საჭირო, შედეგის მიუხედავად სტაბილურად რომ არსებობენ და ფეხბურთელებს ზრდისთვის ნორმალურ პირობებს უქმნიან. მე თუ მკითხავთ, ასეთი დღეს სულ ორია — თბილისის „დინამო“ და „ამერი“. თუ პირობები იქნება, ქართული ფეხბურთიც წავა წინ, ნიჭიერი თაობები კი ყოველთვის გვყავდა და გვეყოლება. „ამერთან“ ერთად შეკრებებზე ყოფნისას საკმაოდ ძლიერ უცხოურ გუნდებს თანაბრად ვეთამაშეთ. ასე რომ, ევროპა ნამდვილად არ არის ათი თავით წინ. ჩემპიონთა ლიგის მომგები გუნდი გვეყოლება საქართველოში-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა რომ გავხდეთ, ნამდვილად შეგვიძლია.

— ორგზის ბომბარდირს, ორგზის თასის მფლობელს და თასის სამ ფინალში სამი გოლის ავტორს საქართველოში ერთადერთი ტიტულიღა დაგრჩა მოსაგები...

— ჰო, საქართველოს ჩემპიონი არ ვყოფილვარ და მგონია, რომ „ამერში“ ამასაც მივაღწევ.

**გიორგი ნოზაძე**



# ორი კურდღელი ერთი ტრანსფერით

## ამერმა მწვრთნელი და ფეხბურთელი ერთად გაიფორმა

**გუშინდელ** „სარბიელში“ გაცნობეთ, რომ თბილისის „ამერმა“ ახალი კონტრაქტები გაუფორმა ორ ფეხბურთელს — სულიკო დავითაშვილი კლუბის ხელმძღვანელობას სამწლიან, ზურაბ ქვაჩახია კი ორწლიან თანამშრომლობაზე შეუთანხმდნენ.

გუშინ კი „ამერში“ კიდევ ერთი კონტრაქტი გაფორმდა: იური გაბისკირია მომავალი ორი სეზონის განმავლობაში მოთამაშე-მწვრთნელის ფუნქციებს შეასრულებს.

გაბისკირიას არაერთხელ უთქვამს, ფეხბურთელის კარიერას მაშინ დავასრულებ, ორთაბრძოლის მოგებას და ზუსტი პასის გაკეთებას რომ ველარ შევძლებო. ვინც გასულ სეზონში „ბორჯომში“ მის თამაშს თვალი ადევნა, დაგვეთანხმება, რომ ბებერი ხარის რქები ისევ ძველებურად ხნავენ, მწვრთნელის რანგში მისი დახმარება კი გიორგი ჩიხრაძის და „ამერის“ ახალგაზრდებისთვის ორმაგად ფასეული იქნება.

**გიორგი ნოზაძე**

„ზესტაფონის“ ყოფილი მწვრთნელი თემურ მახარაძე უმუშევრად კიდევ დიდხანს არ დარჩება და მალე, ალბათ, ახალ სამსახურსაც დაიწყებს. ყოველ შემთხვევაში, უკვე ბევრჯერ გავიგეთ, მახარაძეს მსურველები არ აკლია და მოსამზადებელი პერიოდის დაწყებისთანავე ეს მწვრთნელი მუშაობას ახალ გუნდში დაიწყებსო.

აქამდე კი, როგორც ვთქვით, იყო „ზესტაფონი“ — ჩემპიონატის მეორე წრეში, სწორედ მახარაძის თავკაცობით, ამ გუნდმა წაგება დაივიწყა და არცთუ სახარბიელო საშემოდგომო ეტაპის შემდეგ შედეგით და თამაშის ხარისხით გაზაფხულზე ჩემპიონობის ფავორიტებს შორის გამოჩნდა. მოულოდნელად კი... რა მოხდა? პირველად სწორედ „ზესტაფონიდან“ წასვლის მიზეზზე ვკითხეთ ჯერჯერობით უმუშევარ თემურ მახარაძეს...



# თემურ მახარაძე პასპორტებს შეეწირა

— განსაკუთრებულიც არაფერი მომხდარა. არ დავმალე ის გუნდი, რომელსაც კარგად თამაში და მოგება შეეძლო. ხოლო, რასაც ჩემგან ითხოვდნენ, ის რომ გამეკეთებინა, ეგებ „ზესტაფონს“ საქართველოს თასის ფინალშიც ვერ ეთამაშა.

— რას გთხოვდნენ?

— თემურ მახარაძემ პატივისცემა გამოხატა „ზესტაფონის“ ვეტერანი ფეხბურთელების მიმართ და მათ ინტერესებს თავისი ინტერესი შესწირა. აი, ეს იყო, რამაც „ზესტაფონი“ დამატოვებინა.

— და დღემდე უმუშევარი ხართ...

— რა გაეწყობა, ასეთია მწვრთნელობა. ახლა ვისვენებ და ოჯახთან მეტ დროს ვატარებ.

— კიდევ რამდენ ხანს იქნებით უმუშევარი?

— ცოტაც და, მალე ალბათ საქმეს გავაგრძელებ. სწორად გამიგეთ, სადღეისოდ საფეხბურთო საქართველოში იმდენად არაპროგნოზირებადი ვითარებაა, წინასწარ ვერ გეტყვით, რომელ გუნდს ჩავიბარებ. თუმცა რამდენიმე წინადადება უკვე მაქვს.

— საბოლოო გადაწყვეტილებას როდის მიიღებთ, როდის შევიტყობთ თქვენი ახალი კლუბის ვინაობას?

— მალე. ვფიქრობ, ახალ სეზონს ახალი სამსახურით შევხვდები.

— ქართულ ფეხბურთში არაპროგნოზირებადი ვითარებააო, თქვით. რას გულისხმობთ?

— ეს ჩემპიონატი მოულოდნელობებით სავსე იყო, ტურიდან ტურამდე ინტრიგა იზრდებოდა... მაგალითად, ჩემპიონატის პირველი წრე „ვიტ ჯორჯიამ“ ისე ჩინებულად ჩაატარა, ჩემპიონობის უპირველეს ფავორიტად ითვლებოდა, დაწინაურებულიც იყო, მაგრამ შემდეგ ვეღარ გაუძლო, ჩემპიონატის ბოლომდე ძალა აღარ მიჰყვა. სამაგიეროდ, ბოლნისის „სიონმა“ მთელი სეზონი თანაბრად ჩაატარა და ვფიქრობ, დამსახურებულად გახდა ჩემპიონი. მსურს, ჩემი დიდი სიმპათიები გამოვხატო ამ გუნდის მიმართ, თანაც ადრე ხომ სწორედ „სიონში“ ვმუშაობდი.

— ამ სეზონში თქვენთვის ყველაზე დიდი მოულოდნელობა რა იყო?

— მოულოდნელობაც და თუნდაც იმედგაცრუებაც ჩემთვის თბილისის „დინამოს“ წარუმატებლობა გამოდგა. დიდი მოულოდნელობა იყო ისიც, რომ „ზესტაფონი“ უთასოდ დარჩა.

— როგორ ფიქრობთ. ეს ჩემპიონატი ლოგიკურად ჩამთავრდა?

— რას გულისხმობთ?

— თუნდაც ადგილების გადანაწილებას...

— დიახ. ვფიქრობ, ადგილები ლოგიკურად გადანაწილდა, თუმცა, ერთხელაც ვიტყვი, რომ „დინამოს“ წარუმატებლობამ გამაკვირვა. თბილისელებმა ვერც თასი მოიპოვეს და ჩემპიონატშიც მესამე ადგილზე გავიდნენ. მგონი, ეს მთლიანად ქართული ფეხბურთისთვისაა მოულოდნელი ამბავი.

— წლეულს რომელ ფეხბურთელებს გამოარჩევდით?

— პირველ ყოვლისა, ზურაბ იონანიძეს, რომელმაც ახალგაზრდობა გაიხსენა და „ზესტაფონისთვის“ ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა. ასევე გამოვარჩევ დავით იმედაშვილსა და დავით დიღმელაშვილს, რომლებმაც დიდად განაპირობეს „ვიტ ჯორჯიას“ წარმატება. გიორგი ჭელიძემ და გოგი ფიფიამაც კარგად ითამაშეს და არც ბოლნისელები, კოკა მიკუჩაძე და დავით ჭიჭველიშვილი უნდა დავივიწყოთ.

**ძოგა ინასარიძე**

# კახეთი გამამაცდა

## ჯემალ მახარაშვილი: მინიმუმ ხუთეული



თელავის „კახეთი“ მეჩვიდმეტე ეროვნულ ჩემპიონატში მე-9 ადგილზე გავიდა. 2004-05 წლების სეზონში „კახეთმა“ პირველ ლიგაში მე-4 ადგილი დაიკავა, მაგრამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცის გადაწყვეტილებით უმაღლესი ლიგა ათიდან თექვსმეტ გუნდამდე გაიზარდა და „კახეთიც“ ასე აღმოჩნდა უმაღლეს ლიგაში. მცირებიუჯეტიანი „კახეთისთვის“ უმაღლესი ლიგიდან არგავარდნა და მე-9 ადგილი, რა თქმა უნდა, წარმატებული შედეგია, გუშინ კი შევიტყვეთ, რომ „კახეთი“ მომდევნო სეზონში სულ სხვა გუნდი იქნება სულ სხვა ამბიციებით — ამის შესახებ გუნდის მთავარ მწვრთნელ ჯემალ მახარაშვილისგან გავიგეთ...

— თელავის გამგებელთან, გოჩა მამაცაშვილთან ვიყავი შეხვედრაზე და ძალიან კმაყოფილი ვარ — გადაწყდა, რომ თელავში ახალი სეზონიდან უკვე სერიოზული გუნდი გაკეთდება.

— კლუბის ახალი ბიუჯეტი უკვე დადგინდა?

— ბიუჯეტი უკვე შედგენილია, მაგრამ ჯერ დასამტკიცებელია. სხვაობა იმდენად დიდია, რომ უწინდელი ბიუჯეტი მას ვერც შეედრება.

— „კახეთი“ მთლიანად გამგეობის ბიუჯეტში ჩაჯდება?

— როგორც ვიცი, „კახეთი“ მხოლოდ თელავის ბიუჯეტიდან არ დაფინანსდება, გამოჩნდა ხალხი, ვინც „კახეთს“ გვერდში დაუდგება.

— წლეულს საქართველოს ჩემპიონი პერიფერიული გუნდი გახდა და ალბათ ბოლნისის „სიონის“ წარმატებამაც მისცა სტიმული თელავს...

— ალბათ, ამანაც განაპირობა ის, რომ ახლა თელავშიც სურთ სერიოზული გუნდის გაკეთება. ჩემპიონი „სიონი“ რომ გახდა და თასი „ამერმა“ რომ მოიპოვა, ეს ქართულ ფეხბურთში პროგრესის მანიშნებელია — გამოჩნდნენ ახალი ამბიციური გუნდები. „ამერი“ სულაც წინა სეზონში გადმოვიდა უმაღლეს ლიგაში და მყის წარმატებას მიაღწია — ამერელებს თასის მოპოვებას ვულოცავ.

— თელავის გამგებელი გოჩა მამაცაშვილი ფეხბურთში ახალი კაცი არ არის...

— ასეა და თელავში ახლა სერიოზული გუნდის გაკეთებას რომ აპირებენ, მთავარ ფაქტორსაც სწორედ ის წარმოადგენს — სულით და გულით ფეხბურთშია ჩაბმული. 1995-96 წლებში „კახეთი“ უმაღლეს ლიგაში რომ თამაშობდა, მაშინ ის იყო კლუბის პრეზიდენტი, მაგრამ შემდეგ წარმოიშვა დაპირისპირება მასსა და იმდროინდელ ხელისუფლებას შორის და მამაცაშვილიც პრეზიდენტობიდან გადადგა, რის შემდეგაც გუნდი უმაღლესი ლიგიდან გავარდა. 2004 წელს მამაცაშვილი თელავის გამგებელი გახდა და რეგიონული ლიგიდან გადმოსულმა „კახეთმა“ პირველ ლიგაში მე-4 ადგილი დაიკავა. მართალია, „კახეთი“ ახალკაცის გადაწყვეტილებით მოხვდა უმაღლეს ლიგაში, მაგრამ პირველლიგური მე-4 ადგილი იმაზეც მეტყველებს, რომ კლუბში მუშაობა სწორად მიდიოდა. ისე, ახალკაცის გადაწყვეტილებამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ის, რომ თელავში ახლა ამბიციური გუნდის გაკეთებას ვაპირებთ.

— კონკრეტულად რა მიზნისთვის იბრძოლებს „კახეთი“ მე-18 ეროვნულში?

— თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, მინიმუმ ხუთეულისთვის ვიბრძოლებთ.

— მოკლედ, რუსული ემბარგო ქართულ და პირველ რიგში კახურ ღვინოზე, კახეთის გუნდზე არ იმოქმედებს...

— ამის მართლაც მეშინოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, „კახეთი“ ამ ემბარგოზე დამოკიდებული არ იქნება.

— წინა სეზონი დაწყებული იყო, როცა „კახეთი“ ჩაიბარეთ — როგორ მოახერხეთ მცირებიუჯეტიანი გუნდის უმაღლესში დატოვება?

— „კახეთი“ 20 სექტემბერს ჩავიბარე და მთავარი საქმისადმი მიდგომა აღმოჩნდა — როცა ხედავ, რომ მთელი ქალაქი, როგორც შეუძლია, მხარს გიჭერს და ყველა მონდომებულია, დაგეხმაროს, სულ სხვა სიტუაცია და აურა იქმნება. იცით, რომ გუნდის 90 პროცენტს ადგილობრივი მოთამაშეები შეადგენდნენ, მეორე წრისთვის კი რამდენიმე ახალი ფეხბურთელიც დავიმატეთ.

— რა პირობებში ემზადებოდა გუნდი?

— თელავიდან ნაფარეულში დავდიოდით სავარჯიშოდ, რადგან თელავთან ახლოს სხვა ნორმალური მოედანი არ არის — 27 კილომეტრი აქეთ და იქით — ეს დისკომფორტს გვიქმნიდა. ცოტა ხანს კიდევ მოგვიწევს ასეთ პირობებში ვარჯიში, მაგრამ მალე ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. ერთი კვირის წინ მეგონა, რომ კვლავ უმაღლესი ლიგიდან არგავარდნისთვის ვიბრძოლებდით, ახლა კი იმაზე უნდა დავიწყო ფიქრი, რომელი ფეხბურთელებით გავძლიერდეთ.

— ბავშვთა და ჭაბუკთა ფეხბურთის მხრივ რა ვითარებაა თელავში?

— სამივე ასაკობრივ ლიგაში გვყავს გუნდი, ჩვენს სტრუქტურაში შედის რეგიონულ ლიგაში მოთამაშე ფარმ-კლუბიც. თელავის საფეხბურთო სკოლაში კი 300-მდე ბავშვია. ახლა მთავარია, ყველგან სწორად წარიმართოს მუშაობა.

— ამბიციური გუნდისთვის გულშემატკივრის ფაქტორიც ძალიან მნიშვნელოვანია, რაც „სიონის“ მაგალითმაც დაადასტურა...

— წინა სეზონში „კახეთის“ საშინაო მატჩებზე ყველაზე ცუდ ამინდში, სულ მცირე, 1000 კაცი დადიოდა, საკვანძო მატჩებზე ზოგჯერ 3000-ზე მეტიც მოსულა. გულშემატკივრობა ხშირად გადამწყვეტი ფაქტორიცაა და თელავში ახლა ფან-კლუბის ჩამოყალიბებაც იგეგმება.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქეიფი კარავში

## ვიქტორიამ სტუმრებს ქვები მიჰყიდა



ჰერტფორდშირის სასახლე





კოული წვეულებაზე შიშველი მივიდა, ჯენასი — სატრფოთი





რონალდოს რაღა უნდოდა?

**დევიდ ბექემმა** და მისმა თანამეცხედრე ვიქტორიამ ჰერტფორდშირის სასახლეში დიდი წვეულება გამართეს, სადაც ფეხბურთისა და შოუ ბიზნესის ვარსკვლავები დაპატიჟეს. ეს გახლდათ სელებრითი ქეიფი უზარმაზარ კარავში, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, რომელზეც „მანჩესტერ იუნაიტედის“ 20 წლის თავდამსხმელმა უეინ რუნიმ საცოლესთან, კოლინ მაკლაფლინთან ერთად მოილხინა, ყოვლისმცოდნე და ყველაფრისმჩხრიკავმა „სანის“ ჟურნალისტებმა კი დაადგინეს, რომ კოლინს 200 ათას გირვანქიანი ყელსაბამი ეკეთა.

ვა, რა ძვირი რამ ჰკეთებია, არა? გააჩნია რა შემთხვევაში. თუ მასპინძლის, კნეინა ვიქტორიას ყელსაბამს შევადარებთ, დიდიც არაფერი გამოდის, რადგან პოშს 1 მილიონ გირვანქიანი მორთულობა ჰქონდა შემობმული.

და ვიქტორიას ჩაცმულობის ამბავიც ბარემ აქვე მივაყოლოთ: მასპინძელს ეცვა „რობერტო კავალის“ ყვითელი კაბა, მორთული ტოპ-იუველირ ესპრის ძვირფასი ქვებით, რომელიც მადამ ბექემს გირაოთი ჰქონდა გამოტანილი და იქვე, ქეიფში აუქციონზე გაიტანა. ვარსკვლავებმა თითო ქვაში 2 ათასი გადაიხადეს.

ვიქტორია: „ყველა დაპატიჟებული მოვიდა და ყველამ დიდებული დრო გაატარა. ვფიქრობ, ინგლისის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე კარგად გავაცილეთ“.

ინგლისის ნაკრების ფეხბურთელთაგან ქეიფზე ბევრნი იყვნენ, მათ შორის: ფრენკ ლამპარდი და მისი მეორე ნახევარი ელენ რივსი, ეშლი კოული და სტივ ჯერარდი, რომელსაც საცოლე ალექს კარანი ახლდა.

ჰო, რა შუაშია აქ ინგლისის ნაკრები ვერ გეტყვით, მაგრამ წვეულებას ბექჰის მადრიდელი მეგობარი რონალდოც ესწრებოდა. კიდევ, სპორტის ხალხიდან იყვნენ ინგლისური კრიკეტის ვარსკვლავი ფრედი ფლინტოფი და ფორმულა 1-ის პილოტი ჯენსონ ბატონი.

მათ გარდა ქეიფობდნენ: დევიდ კამერონი, კეიტ მოსი, რეი უინსტოუნი, ოზი ოზბორნი მეუღლითურთ, რომელსაც შერონი ჰქვია და ქალიშვილითურთ, რომელსაც კელის უწოდებენ. პრინცესა ბეატრისი, დედამისი სარა ფერგიუსონი, ყოფილი სფაისელი ემა ბანტონი, უილ იანგი და რეპერი შინ კომბზი. ამ ხალხიდან ჩვენი მკითხველისთვის ზოგი ნაცნობია, ზოგი უცნობი, მაგრამ ფაქტია, რომ ინგლისში ანუ მთელ მსოფლიოში თითოეულ მათგანს თავისი წონა აქვს.

გარდა ამისა: მთელი საღამო წვიმდა, მაგრამ ამან წვეულება ვერ გააფუჭა. ცნობილ ტელეწამყვან გორდონ რამსის სიტყვა არ შეშლია და ილუზიონისტ დევიდ ბლეინს ფოკუსი. ფანოღებად რობი უილიამსი და ჯიმი ბრაუნი ჰყავდათ, ხოლო დიჯეი სნუპისთან ერთად თავად ბექზმა წაუცეკვა.

მაგრამ ისე ნუ იფიქრებთ, რომ მილიონერმა ვარსკვლავებმა ჭამეს, სვეს და სახლებში ბღუჯ-ბოყინით დაიშალნენ. არა, საღამო საქველმოქმედო გახლდათ და UNICEF-ისა და ბავშვთა ფონდისთვის კარგი თანხაც აიკრიბა. აუქციონმა, რომლის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ, 500 ათასი გირვანქა შეაგროვა.

**პაპუნა ძედია**

# ძირს მანჩესტერი, რეალში მინდა!



**მაჰამადუ დიარამ** მომავალი სეზონისთვის მადრიდის „რეალში“ თამაშის სურვილი გამოთქვა და ამით ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი“ გაანაწყენა. სერ ალექს ფერგიუსონის გუნდს დიარას წარმომადგენელთან, ფრედერიკ გერასთან წინასწარი ხელშეკრულება უკვე გაფორმებული აქვს — 12 მაისს, როცა უპრეზიდენტოდ დარჩენილ „რეალს“ სატრანსფერო ხლართებისთვის არ ეცალა, ფეხბურთელის აგენტი მანჩესტერს ჩასულა, რათა თავისი ფეხბურთელის ბედი „წითელი ეშმაკებისთვის“ დაეკავშირებინა.

ფრედერიკ გერამ და ფერგიუსონმა საქმეები იოლად მოაგვარეს — „მანჩესტერი“ დიარას სანაცვლოდ „ლიონისთვის“ 30 მილიონი ევროს გადახდაზე დათანხმდა. მალელი ნახევარმცველის „ოლდ ტრეფორდზე“ საკონტრაქტო ვადის ხანგრძლივობაზე და დიარას ხელფასის დადგენაზეც არ შეხვედრიათ რაიმე პრობლემა. მოკლედ, აგენტს და ფერგიუსონს „სრული ბედნიერებისთვის“ თავად ფეხბურთელის თანხმობაღა სჭირდებოდათ. ფრედერიკ გერა საჩქაროდ ლიონს დაბრუნდა, რათა დიარასთვის კონტრაქტზე ხელი მოეწერინებინა და... არეულობაც მაშინ დაიწყო.

მაჰამადუ დიარამ კარგა ხანს იყოყმანა და მერე გაოცებულ აგენტს განუცხადა, რომ მას ინგლისში კი არა, „რეალში“ თამაში უნდა და „მანჩესტერში“ გადასვლას არ აპირებს. ამან, რა თქმა უნდა, „წითელი ეშმაკები“ გაანაწყენა.

ახლა რაღა რჩება? ის, რომ 2 ივლისს „რეალში“ საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება და უიღბლო აგენტი გერა მოგებულ კანდიდატს მივარდება ფიცხლად — აბა, ჩემს დიარას სამეფო თეთრი მაისურის მორგება ნებავს და იქნებ ამ საქმიდან რაიმე გამოვიდესო. თავად მადრიდზე შეყვარებული კაცი დღეს მალიშია და სამშობლოში არდადეგებით ტკბება.

**ლადო ხომერიკი**



# ეტოო ხუთთუმნიანია

**ცხრა** წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რონალდომ პრიმერადივიზიონის 37 ტურში 34 გოლი გაიტანა და აი, „ბარსელონას“ კვლავ ჰყავს ჩემპიონატის მთავარმეგოლე, იგივე „ტროფეო პიჩიჩის“ მფლობელი. ეს სამუელ ეტოოა, რომელმაც 2005-06-წლების პრიმერას ბოლო ტურში 26-ე გოლი შეაგდო და ვალენსიელ ფორვარდ დავიდ ვილიას ერთით აჯობა.

კამერუნელი ეტოო ამგვარად, პრიმერას ყველა დროის დიდმეგოლეთა შორის მოხვდა. კატალონიელთა მოიერიშე საგოლე მარაგით, მადრიდის „რეალის“ ლეგენდარულ მექსიკელ უგო სანჩესს გაუთანაბრდა. 1989-90-ის სეზონში უგომ 38 გოლი შეაგდო, 1990-91-ში კი — 12. მას შემდეგ, ეტოომდე, ესპანეთის ჩემპიონატში ორ სეზონში 50 გოლი არავის გაუტანია.

პირინეელთა პირველობის ერთადერთი აფრიკელი „პიჩიჩი“ ამ საუკუნეში ჯერჯერობით პრიმერას საუკეთესო მეგოლეა 98 გატანილით. მას რონალდო მიჰყვება (82), შემდეგ კი რაული (79), ტამუდო (78) და ტრისტანი (77) მოდიან. ეტოოს გოლებმა „ბარსელონას“ 21 ქულა მოუტანა. აფრიკელი და რონალდინიო პრიმერადივიზიონის ყველაზე მეგოლე წყვილია — ერთად 42 შეაგდეს.

**ლადო ხომერიკი**

# ლუჩანო მოჯიმ ბერლუსკონი ამოლერძა

## სკანდალი სექტემბერში დაიწყურა

**ლუჩანო მოჯი.** — ამ კაცს ფეხბურთის მოყვარულთათვის დიდი წარდგენა არ სჭირდება, ისედაც, რა ხანია, მის გარშემო აგორებულ სკანდალზე ვსაუბრობთ, რომელმაც „იუვენტუსის" გარდა არაერთი კლუბი თუ ჩინოვნიკი მოიყოლა და როგორ დამთავრდება ეს ამბავი, ჯერ კიდევ არავინ იცის. „ბებერი ქალბატონის" ყოფილი გენერალური დირექტორი ამ აურზაურის შემდეგ პირველად ალაპარაკდა და ბევრი საინტერესო რამ თქვა.

ყველაფერი გასული წლის სექტემბერში დაწყებულა, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობს მოჯი. იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და „მილანის" მეპატრონის სილვიო ბერლუსკონის მიწვევით იგი „პალაცო გრაციოლიში" ჩავიდა, სადაც, ცხადია, დონ სილვიოს შეხვდა და...

„მან „მილანში" გადასვლა შემომთავაზა. ეს ძალიან გამიკვირდა და თან მესიამოვნა, სეზონი ახალი დაწყებული იყო და ამიტომ ვუთხარი, რომ მოვიფიქრებდი. როგორც ჩანს, მას ეს არ მოეწონა და ჩემს წინააღმდეგ შავი პიარი დაგეგმა, თუმცა ბერლუსკონის ყველანი კარგად ვიცნობთ, იგი თავის თავზე ბევრს არასდროს იღებს და არ ფიგურირებს. საქმე, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ადრიანო გალიანის გადააბარა" — ამბობს მოჯი.

დიდი ხანია, იტალიაში საუბრობენ იმაზეც, რომ ბერლუსკონისა და მის მარჯვენა ხელს, გალიანის, ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ ფეხბურთის ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტ ფრანკო კარაროსთან. მოჯი მასზეც განაწყენებულია და მასაც ადანაშაულებს:


ლუჩანო მოჯი


სილვიო ბერლუსკონი

„მთელი ეს სკანდალი გალიანიმ ამიგორა კარაროს დახმარებით. ბერლუსკონისთან შეხვედრიდან ორ კვირაში იტალიის ფეხბურთის ფედერაციაში გაჩნდა ჩემი სატელეფონო საუბრების სტენოგრამები. გალიანიმ გააფრთხილა ბერლუსკონი, რომ კარგად დაფიქრებულიყო, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდა და ფრთხილად ემოქმედა, თუ ჩემს წინააღმდეგ კამპანიის აგორებას დაიწყებდა. კარარომ კი თავის მხრივ გალიანის უთხრა, ისე ქენით, ამ საქმეში მე არ გამოვჩნდეო. ხოლო ყველაფერი ბერლუსკონისთან იმ ავადსახსენებელი შეხვედრის მერე დაიწყო" — აღნიშნა მოჯიმ.

ერთი სიტყვით, თუ ეს სკანდალი მართლაც მოჯის წინააღმდეგ განგებ ააგორეს, რაღაც კარგად ვერ გათვალეს, რადგან გამოძიების დასრულების შემდეგ თუ „იუვეს" სერია B-ში უკრეს თავი ან სხვაგვარად დასაჯეს, კარგი დღე, წესით, არც სხვა კლუბებს უნდა დაადგეთ, მათ შორის „მილანსაც". როგორც ირკვევა, მთელ ამ აურზაურში მხოლოდ ტურინელები არ არიან გარეულნი, არამედ „მილანიც", „ინტერიც", „ლაციოც", „ფიორენტინაც" და ვინ იცის, კიდევ რამდენ გუნდს ამოატივტივებს გამოძიება. ხვალ, ოთხშაბათს კი მორიგი ხმაურიანი გადადგომაა მოსალოდნელი — ამბობენ, იტალიის ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტის პოსტს ადრიანო გალიანი დატოვებსო.

ლუჩანო მოჯი: „მუშაობის ასეთი მეთოდები მე არ მომიგონია, ეს ყოველთვის ასე იყო და წლებია, ამგვარად ვმუშაობდი. ჩვენი სატელეფონო საუბრების ჩანაწერების ბაზა ყოველდღიურად ახლდებოდა და არცთუ რთული მოსაპოვებელი გახლდათ. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ბუნებრივია ისიც, რომ საუბრები ყხშირად მეგობრული არ იყო, რადგან კამათის საფუძველი ყოველთვის არის. მე, ჩემი კოლეგების დარად, უბრალოდ მინდოდა, რომ ჩვენს თამაშებზე მაღალი დონის მსაჯები დაენიშნათ. ვფიქრობ, ამაში განსაკუთრებული არაფერია".

„იუვენტუსი" კი ისევ მოჯის შემცვლელს ეძებს. აქამდე ამ პოსტზე ფავორიტად „რომას" ყოფილი სპორტული დირექტორი ფრანკო ბალდინი ითვლებოდა, მაგრამ გავრცელდა ხმები, რომ კვირას მან ტურინელთა დროებით მმართველს, კარლო სანტალბანოს დაურეკა და უარი უთხრა. თუ რატომ იუარა ბალდინიმ „დელე ალპიზე" გადაბარგება, ჯერჯერობით უცნობია.

და ვინ მოვა „იუვენტუსში"? ამჟამად ორ კანდიდატზე საუბრობენ — სამპდორიელ ბეპე მაროტაზე და კიევოელ ჯოვანი სარტორიზე. იმასაც ამბობენ, მოჯის პოსტი ეგებ კაპელოს ჩააბარონ, ხოლო მწვრთნელად „სამპდორიას" თავკაცი ვალტერ ნოველინო ან „ფიორენტინას" დამრიგებელი ჩეზარე პრანდელი დანიშნონო. ლეგენდარულ დინო ძოფს კი რობერტო ბეტეგას ადგილზე „იუვეს" ვიცე-პრეზიდენტად ელიან.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ფიგუ: ფული მივიღოთ!

## ამინდის პროგნოზი მორატისებურად


ლუიშ ფიგუმ წართმეული მოითხოვა

**ლუიშ ფიგუმ,** ფული დამიბრუნეთო. ახლავე გაგახსენებთ, რაც ხდება: 12 თებერვალს, „სან სიროზე" „ინტერმა" „იუვენტუსს" უმასპინძლა და 1:2 წააგო. მატჩს ვნებათაღელვა ახლდა, რაც საფინალო სასტვენის შემდეგ გაწევ-გამოწევაში გადაიზარდა. საბოლოოდ ფეხბურთელებმა გასახდელის კარი მიკეტეს, ჟურნალისტები გარეთ დატოვეს და რაღაც ილაპარაკეს, მაგრამ ეს სხვაა. ჩვენთვის მნიშვნელოვანი ის არის, რაც ლუიშ ფიგუმ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა. პორტუგალიელმა თქვა, ჩემი თვალით დავინახე, როგორ შევიდა „იუვენტუსის" გენერალური დირექტორი ლუჩანო მოჯი მსაჯის ოთახშიო. და აი, ამ ამბიდან სამი თვის შემდეგ ჩვენ ვიცით, რომ ხსენებული გენერალური დირექტორი მოჯი თანამდებობიდან მსაჯებთან მანიპულირების გამო გადადგა, ფიგუს კი მაშინ, ამ განცხადებისთვის ფული გადაახდევინეს.

„იმედი მაქვს, სულ მცირე, ფულს მაინც დამიბრუნებენ — ამბობს პორტუგალიელი „გაძეტა დელო სპორტთან" ინტერვიუში — ბოლოს და ბოლოს ღირსების საქმეა. ფაქტები ამტკიცებს, რომ მართალი ვიყავი, თუმცა ახლა ბევრს ველარაფერს შეცვლი".

მართალია, სკანდალის ცენტრში „იუვენტუსია", მაგრამ გასვრილი მარტო ერთი, აბა, როგორ იქნებოდა და ლაფი რამდენიმე სხვა გუნდსაც ესხმება.

„ეჭვი არ მეპარება, რომ „ინტერი" არაფერ შუაშია — ამბობს ფიგუ იმავე ინტერვიუში — ალლოს ვენდობი და ვგრძნობ, რომ ჩვენი კლუბის მეპატრონე მასიმო მორატი ასეთ საქმეებში ვერ გაერეოდა. ბედნიერი ვარ, კარიერა ისეთ კაცს რომ დავუკავშირე, როგორიც მორატია".


მასიმო მორატი

მაგრამ იტალიურმა გაზეთებმა, რომელთაც ამ ბოლო დროს ფეხბურთში მოღვაწე ადამიანთა სატელეფონო საუბრების გამოქვეყნებას მოუხშირეს, დაბეჭდეს „ინტერის" პრეზიდენტის, ჯაჩინტო ფაკეტისა და თამაშებზე მსაჯთა გამანაწილებლის, პიერლუიჯი პაირეტოს საუბრის ძველი ჩანაწერი, რომელშიც პაირეტო ფაკეტის 2004-05 წლების ჩემპიონთა ლიგის გათამაშების მატჩებში დანიშნული მსაჯების ვინაობას ერთი თვით ადრე აცნობს, მაშინ, როდესაც ამ ინფორმაციას თამაშამდე 48 საათით ადრე უნდა იგებდეს მონაწილე მხარე.

აი, ამ საკითხზე კი უკვე თვით მორატიმ ამოიღო ხმა:

„დახეთ, რა პატიოსნები ვართ. დახეთ, რა პატიოსანია ფაკეტი. მან ინფორმაცია მიიღო ისე, როგორც ამინდის პროგნოზს იგებს ადამიანი, სუფთა ცნობისმოყვარეობის გამო და მეტი არაფერი. არადა ხომ შეეძლო მერე რაიმე ემოქმედა..."

**პაპუნა ქედია**

# პასპორტი

## რა სპორტია არგენტინელის გამექსიკელება?



გილერმო ფრანკო



რიკარდო ლავოლპე

**გილერმო ფრანკო** მექსიკის ნაკრების ვარჯიშზე პირველად, გასულ ნოემბერს გამოჩნდა და თქვა, ბავშვობის ოცნება ავიხდინეო, მაგრამ ბევრმა არ დაუჯერა. რატომ? იმიტომ რომ, არგენტინელია... მექსიკასთან მის წინაპრებს არანაირი კავშირი არ ჰქონიათ და საერთოდაც, ამ ქვეყანაში პირველად 2003 წელს მოხვდა, როდესაც ბუენოს აირესის „სან ლორენსომ" „მონტერეის" მიჰყიდა.

და აი, იმ ამბიდან სამი წელიწადიც არ იყო გასული, რომ მექსიკის ნაკრების... არგენტინელმა მწვრთნელმა რიკარდო ლავოლპემ გამოიძახა. ცნობისთვის, ლავოლპე 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, არგენტინის ტრიუმფატორი ნაკრების სათადარიგო მეკარე იყო.

ასე და ამგვარად, 29 წლის ფრანკო მეორე გამექსიკელებული უცხოელია, რომელსაც გერმანიის სტადიონებზე ვიხილავთ. პირველი, ბრაზილიელი ნელსონ ზინია გახლავთ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ფეხბურთელთა ნატურალიზაციას ქვეყანაში საყოველთაო მოწონება არ გამოუწვევია. განსაკუთრებით, მექსიკის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ყოფილი დიდვარსკვლავის უგო სანჩესის გაღიზიანება იყო თვალშისაცემი:

„ეს ძალიან საშიში ტენდენციაა, რადგან ორი თუ სამი უცხოელი უკვე გვყავს და ადვილი შესაძლებელია ამ რიცხვმა მოიმატოს, რაც იქამდე მიგვიყვანს, რომ ნაკრები ეროვნული გუნდი აღარ იქნება. ამაში ფეხბურთელები უდანაშაულონი არიან. არც ფრანკოს ვერჩი რამეს და არც ზინიას ანუ ნელსონს, დამნაშავე ისაა, ვინც გადაწყვეტილებებს იღებს. წარმოიდგინეთ, რა სიხარული იქნება მსოფლიოს ჩემპიონობა და რა ცუდი იქნება თუ ეს მექსიკელებმა კი არა, მექსიკის ფორმაში ჩაცმულმა უცხოელებმა შეძლეს".

უცხოელთა ნატურალიზების წინააღმდეგია ბოლო ორი ჩემპიონატის მონაწილე ხესუს არელანოც:

„მე მექსიკელი ვარ და იმ ადამიანებს ვეკუთვნი, რომელთაც ნაკრებში თანამემამულეების თამაში სურთ".

ლავოლპეს პასუხი კი ასეთია:

„დღეს, მექსიკაში მოთამაშე თავდამსხმელების 80 პროცენტი უცხოელია და თუ რომელიმე მათგანს პასპორტი მივეცით, ვერ გავიგე, რა არის ამაში ცუდი".

მართლაც, ლათინურ ამერიკაში ყველაზე მდიდარი ლიგა მექსიკურია, რაც იმას ნიშნავს, რომ იქ ბევრი უცხოელი იყრის თავს, რომელთაგან გარკვეული ნაწილი იქაურ ცხოვრებას ერგება და საცხოვრებლად რჩება.

ლავოლპე: „იმ მწვრთნელებს, რომლებიც ნატურალიზაციის წინააღმდეგ გამოდიან, თავიანთ გუნდებში მხოლოდ მექსიკელები რომ ჰყავდეთ, ხმას არ ამოვიღებდი. ჩვენ ვაკეთებთ იმას, რასაც დანარჩენი მსოფლიო აკეთებს. თუ უცხოელები სჯობიან, გაუგებარია, რატომ უნდა ვათამაშოთ მაინც და მაინც მექსიკაში დაბადებული ფეხბურთელები?"

ისტორიაში ცნობილია, რომ პირველი გამექსიკელებული ფეხბურთელი, 1954 და 1958 წლების მუნდიალებზე, გახლდათ ესპანელი კარლოს ბლანკო. 1962 წლის შესარჩევში თამაშობდა არგენტინელი კარლოს ლარა, ხოლო გაბრიელ კაბალერო 2002 წელს მოთამაშე არგენტინელ-მექსიკელი გახლდათ.

რაც შეეხება ნელსონს, იგი მუხლის ტკივილის გამო კინაღამ შინ დარჩა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ ნელსონი პირველი ნატურალიზებულია ვინც გოლი გაიტანა. ეს ტრინიდადთან მატჩში მოხდა.

ხოლო ფრანკომ, რომელიც „მონტერეიდან" „ვილიარეალში" გადავიდა, ნოემბერში მექსიკის ნაკრების შემადგენლობაში ნელსონის მსგავსად გოლი შეაგდო განას კარში.

და ბოლოს, არის ასეთი არგენტინელი კაცი ვალტერ გატალანი, რომელმაც თავიდან კი სცადა მექსიკის მოქალაქეობის მიღება, მაგრამ რომ ნახა გარშემო რა ამბავიც ატყდა, თხოვნა უკან გამოიტანა.

**პაპუნა ძიძია**

# ბუფონი შარიდან მილანში გადადის



ჯანლუიჯი ბუფონი „იუვენტუსიდან" იპარება

**რა ხანია**, ამბობენ, ჯანლუიჯი ბუფონი „იუვედან" „მილანში" გადადისო, მაგრამ ცოტა ხნის წინ ეს ინფორმაცია ორივე მხარემ კატეგორიულად უარყო. თუმცა ახლა იტალიური პრესა ამტკიცებს, ყველაფერი გადაწყვეტილია და ჯიჯი ზაფხულში „სან სიროზე" ისე გადაბარგდება, „იუვენტუსის" გარშემო ატეხილი სკანდალის გამოძიებას არც დაუცდისო.

გასული სეზონის დაწყებამდე, სწორედ „მილანთან" ამხანაგურ მატჩში მიღებული ტრავმის შემდეგ, ბუფონი არც ისე დამაჯერებლად თამაშობდა. იმასაც ამბობენ, მას ფაბიო კაპელოსთან ურთიერთობა დაეძაბაო. „როსონერი" კი ნელსონ დიდას არასტაბილურობითაა უკმაყოფილო და კარგ მეკარეს ეძებს.

გავრცელებული ცნობით, „იუვე" მომავალ სეზონში კარში ანტონიო მირანტეს ჩააყენებს, რომელიც „სიენაში" იყო განათხოვრებული. მისი შემცვლელი კი, ალბათ, ფრანჩესკო ანტონიოლი იქნება, რომელსაც „სამპდორიიდან" თავისუფალი აგენტის სტატუსით დაიმატებენ. ხოლო შემდგომ, ტურინელები ლივორნოელი მარკო ამელიას ხელში ჩაგდებაზე იზრუნებენ, რომელიც იტალიის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ გოლკიპერად ითვლება.

ამასობაში საბოლოოდ და, შეიძლება ითქვას, უკვე ოფიციალურად გაირკვა, რომ კრისტიანო ძანეტი მომავალი სეზონიდან „იუვეს" მაისურას მოირგებს. ეს ახლახან თავად ფეხბურთელმა დაადასტურა. მოგეხსენებათ, იგი კაპელოსთან ერთად „რომაში" იყო და მწვრთნელს დიდ პატივს სცემს, ისევე როგორც დონ ფაბიო — ძანეტის.

„მე „იუვენტუსის" ფეხბურთელი გავხდები. ეს გადაწყვეტილება ზამთარში მივიღე ბევრი ფიქრის შემდეგ. „ინტერი" ახალ კონტრაქტს მთავაზობდა, მაგრამ კაპელოს ფაქტორმა გადამწყვეტი როლი ითამაშა. ისევ მასთან ერთად მუშაობა დიდი ბედნიერება იქნება" — თქვა ნახევარმცველმა.

**ბოკო ბანდელაძე**

## ფეხბურთის რუკასთან

**რუსული** „სპარტაკის" პატრონის გადაწყვეტილებით, მთავარი მწვრთნელის პოსტზე სეზონის ბოლომდე ვლადიმირ ფედოტოვი დარჩება. მას სერგეი როდიონოვი დაეხმარება, 1 ივნისიდან კი მენეჯერი და სპორტული დირექტორი სტანისლავ ჩერჩესოვი გახდება.

**იტალიური** „პალერმოს" პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი გუნდში ძველი მწვრთნელის, ფრანჩესკო გვიდოლინის დაბრუნებას აპირებს, რომელიც ამჟამად „მონაკოს" თავკაცობს. გავრცელებული ცნობით, მხარეებს შორის რამდენიმე დღის წინ უკვე დაიწყო მოლაპარაკება.

**უკრაინის** ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე კიევის „დინამოს" მცველი სერგეი ფიოდოროვი ვერ დაეხმარება. მას დაშავებულ ფეხზე ოპერაციის გაკეთება მოუხდა და სამი თვე ველარ ითამაშებს. ფიოდოროვის ნაცვლად მუნდიალზე დიმიტრი ჩირგინსკი წავა.

**შოტლანდიის** ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი პოლ დიკოვი ინგლისური „ბლექბერნიდან" მიდის. 33 წლის ვეტერანმა კლუბის მიერ შეთავაზებულ ახალ კონტრაქტზე ხელის მოწერა იუარა და სხვა გუნდს ეძებს.

**დანიური** „ბრონდბიუს" მწვრთნელი მიქაელ ლაუდრუპი გუნდიდან წავიდა. ლეგენდარულმა ფეხბურთელმა ოთხი წელი იმუშავა კლუბში და ახლა საზღვარგარეთ, უფრო ძლიერ ლიგაში სურს ძალების მოსინჯვა. ლაუდრუპის თავკაცობით „ბრონდბიუმ" შარშან ჩემპიონატი მოიგო.

### ბრაზილია

**სერია A. VI ტური**

ატლ. პარანენსე — გოიასი 2:3; ფორტალეზა — პარანა 1:1; ინტერნასიონალი — ფიგეირენსე 2:4; სან პაულუ — სან კაეტანო 1:0; კრუზეირო — ფლამენგო 2:1; პალმეირასი — სანტა კრუზი 2:1; ვასკუ და გამა — კორინთიანსი 2:4; ფლუმინენსე — სანტოსი 1:0; ჟუვენტუდე — ბოტაფოგო 1:0; პონტე პრეტა — გრემიო 1:1

### ჩილე

**პრიმერადივიზიონი XVI ტური**

უნივერსიდად დე ჩილე — ლა სერენა 2:1; პუერტო მონტი — კოლო კოლო 0:1; კონსეპსიონი — უნივერსიდად კათოლიკა 1:1; პალესტინო — რეინჯერსი 2:2; ევერტონი — უონდერერსი 2:0; კოკიმბო — ანტოფაგასტა 0:1; უაჩიპატო — ჰიგინსი 0:0; სან მორნინგი — ესპანიოლა 0:0; კობრელოა — იტალიანო 0:1

### მექსიკა

**კლაუსურა. ფინალი**
**საპასუხო მატჩი**

პაჩუკა 1:0 სან ლუისი (0:0)

# ჩუმად!

**ტოგოელ** ფეხბურთელს, რომელიც სამხრეთკორეელ ჟურნალისტს ინტერვიუს მისცემს, ან თუნდაც ორიოდ სიტყვით გაესაუბრება, ნაკრებიდან გააგდებენ. ასე დააკანონა გერმანელმა მწვრთნელმა ოტო პფისტერმა.

„ნაკრების თავკაცმა აგვიკრძალა კითხვებზე პასუხის გაცემა. ეს წესი რომ დავარღვიო, გამაგდებენ" — განუცხადა ტოგოელმა ჟუნიორ სენაიამ ერთ-ერთ კორეულ გაზეთს გერმანიაში, სასტუმროდან გამოსვლისას.

ტოგოს ნაკრები ჯუგფის პირველ მატჩს 13 ივნისს კორეელებთან გამართავს. პფისტერმა ისიც უთხრა ფეხბურთელებს, წვრილთვალა ადამიანებს საერთოდ არ დაელაპარაკოთ, ეგებ რომელიმე კორეელი ჟურნალისტი აღმოჩნდესო.

# რა ღირს ანგოლები?

**ნებისმიერი** ანგოლელი ფეხბურთელი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე გოლს გაიტანს, 5 000 დოლარს მიიღებს. ეს ჯილდო ანგოლის ერთ-ერთმა ბანკმა დააწესა. მისი პრეზიდენტი ფერნანდო ტელეში კიდევ 5 ათასს მისცემს იმ მოთამაშეს, ვინც საუკეთესო იქნება ჯგუფის მატჩებში პორტუგალიასთან, მექსიკასთან და ირანთან.

გარდა ამისა, ტელეში გუნდის სათითაო ფეხბურთელს თითო მოგებისთვის 50 ათას დოლარს ჩააჩუტებს და ერთ ამდენსაც იმ შემთხვევაში დაუმატებს, თუ მერვედფინალში გავლენ.

# მსოფლიოს თასი

# გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

## მოსფლიოს ჩემპიონატების ისტორიიდან. A ჯგუფი: გერმანია, კოსტა რიკა, პოლონეთი, ეკვადორი



1966 წელი. გფრ — სსრკ 2:1.

## გერმანია

### 1934 იტალია

**მერვედფინალი**
გერმანია 5:2 ბელგია
**მეოთხედფინალი**
გერმანია 2:1 შვედეთი
**ნახევარფინალი**
ჩეხოსლოვაკია 3:1 გერმანია
**მესამე ადგილისთვის**
გერმანია 3:2 ავსტრია

### 1954 შვეიცარია

**ჯგუფური ეტაპი**
უნგრეთი 8:3 გფრ
გფრ 4:1 თურქეთი
**მეოთხედფინალი**
გფრ 2:0 იუგოსლავია
**ნახევარფინალი**
გფრ 6:1 ავსტრია
**ფინალი**
გფრ 3:2 უნგრეთი

### 1958 შვედეთი

**ჯგუფური ეტაპი**
გფრ 3:1 არგენტინა
გფრ 2:2 ჩრ. ირლანდია
გფრ 2:2 ჩეხოსლოვაკია
**მეოთხედფინალი**
გფრ 1:0 იუგოსლავია
**ნახევარფინალი**
შვედეთი 3:1 გფრ
**მესამე ადგილისთვის**
საფრანგეთი 6:3 გფრ

### 1962 ჩილე

**ჯგუფური ეტაპი**
გფრ 2:1 შვეიცარია
გფრ 0:0 იტალია
გფრ 2:0 ჩილე
**მეოთხედფინალი**
იუგოსლავია 1:0 გფრ

### 1966 ინგლისი

**ჯგუფური ეტაპი**
გფრ 5:0 შვეიცარია
არგენტინა 0:0 გფრ
გფრ 2:1 ესპანეთი
**მეოთხედფინალი**
გფრ 4:0 ურუგვაი
**ნახევარფინალი**
გფრ 2:1 სსრკ
**ფინალი**
ინგლისი 4:2 გფრ

### 1970 მექსიკა

**ჯგუფური ეტაპი**
გფრ 5:2 ბულგარეთი
გფრ 2:1 მაროკო
გფრ 3:1 პერუ
**მეოთხედფინალი**
გფრ 3:2 ინგლისი
**ნახევარფინალი**
იტალია 4:3 გფრ
**მესამე ადგილისთვის**
გფრ 1:0 ურუგვაი

### 1974 გფრ

**I ჯგუფური ეტაპი**
გფრ 3:0 ჩილე
გდრ 1:0 გფრ
გფრ 3:0 ავსტრალია
**II ჯგუფური ეტაპი**
გფრ 4:2 შვედეთი
გფრ 2:0 იუგოსლავია
გფრ 1:0 პოლონეთი
**ფინალი**
გფრ 2:1 ჰოლანდია

### 1978 არგენტინა

**I ჯგუფური ეტაპი**
გფრ 0:0 პოლონეთი
გფრ 6:0 მექსიკა
გფრ 0:0 ტუნისი
**II ჯგუფური ეტაპი**
იტალია 0:0 გფრ
ავსტრია 3:2 გფრ
ჰოლანდია 2:2 გფრ

### 1982 ესპანეთი

**I ჯგუფური ეტაპი**
ალჟირი 2:1 გფრ
გფრ 4:1 ჩილე
გფრ 1:0 ავსტრია
**II ჯგუფური ეტაპი**
გფრ 0:0 ინგლისი
გფრ 2:1 ესპანეთი
**ნახევარფინალი**
გფრ 3:3 (პენ.5:4) საფრანგეთი
**ფინალი**
იტალია 3:1 გფრ

### 1986 მექსიკა

**ჯგუფური ეტაპი**
გფრ 1:1 ურუგვაი
გფრ 2:1 შოტლანდია
დანია 2:0 გფრ
**მერვედფინალი**
გფრ 1:0 მაროკო
**მეოთხედფინალი**
გფრ 0:0(პენ.4:3) მექსიკა
**ნახევარფინალი**
გფრ 2:0 საფრანგეთი
**ფინალი**
არგენტინა 3:2 გფრ

### 1990 იტალია

**ჯგუფური ეტაპი**
გფრ 5:1 საამიროები
გფრ 4:1 იუგოსლავია
გფრ 1:1 კოლუმბია
**მერვედფინალი**
გფრ 2:1 ჰოლანდია
**მეოთხედფინალი**
გფრ 1:0 ჩეხოსლოვაკია
**ნახევარფინალი**
გფრ 1:1(პენ.4:3) ინგლისი
**ფინალი**
გფრ 1:0 არგენტინა

### 1994 აშშ

**ჯგუფური ეტაპი**
გერმანია 1:0 ბოლივია
გერმანია 1:1 ესპანეთი
გერმანია 3:2 ს. კორეა
**მერვედფინალი**
გერმანია 3:2 ბელგია
**მეოთხედფინალი**
გერმანია 1:2 ბულგარეთი

### 1998 საფრანგეთი

**ჯგუფური ეტაპი**
გერმანია 2:0 აშშ
გერმანია 2:0 ირანი
გერმანია 2:2 იუგოსლავია
**მერვედფინალი**
გერმანია 2:1 მექსიკა
**მეოთხედფინალი**
გერმანია 0:3 ხორვატია

### 2002 ს.კორეა-იაპონია

**ჯგუფური ეტაპი**
გერმანია 8:0 საუდეთი
გერმანია 1:1 ირლანდია
კამერუნი 0:2 გერმანია
**მერვედფინალი**
გერმანია 1:0 პარაგვაი
**მეოთხედფინალი**
გერმანია 1:0 აშშ
**ნახევარფინალი**
ს. კორეა 0:1 გერმანია
**ფინალი**
ბრაზილია 2:0 გერმანია

## კოსტა რიკა

### 1990 იტალია

**ჯგუფური ეტაპი**
კოსტა რიკა 1:0 შოტლანდია
ბრაზილია 1:0 კოსტა რიკა
კოსტა რიკა 2:1 შვედეთი
**მერვედფინალი**
ჩეხოსლოვაკია 4:1 კოსტა რიკა

### 2002 ს.კორეა-იაპონია

**ჯგუფური ეტაპი**
ჩინეთი 0:2 კოსტა რიკა
თურქეთი 1:1 კოსტა რიკა
კოსტა რიკა 2:5 ბრაზილია

## პოლონეთი

### 1938 საფრანგეთი

**მერვედფინალი**
ბრაზილია 6:5 პოლონეთი

### 1974 გფრ

**ჯგუფური ეტაპი**
პოლონეთი 7:1 ჰაიტი
პოლონეთი 3:2 არგენტინა
პოლონეთი 2:1 იტალია
**მეორე ჯგუფური ეტაპი**
პოლონეთი 1:0 შვედეთი
პოლონეთი 2:1 იუგოსლავია
გფრ 1:0 პოლონეთი
**მესამე ადგილისთვის**
პოლონეთი 1:0 ბრაზილია

### 1978 არგენტინა

**პირველი ჯგუფური ეტაპი**
გფრ 0:0 პოლონეთი
პოლონეთი 3:1 მექსიკა
პოლონეთი 1:0 ტუნისი
**მეორე ჯგუფური ეტაპი**
არგენტინა 2:0 პოლონეთი
პოლონეთი 1:0 პერუ
ბრაზილია 3:1 პოლონეთი

### 1982 ესპანეთი

**პირველი ჯგუფური ეტაპი**
იტალია 0:0 პოლონეთი
პოლონეთი 0:0 კამერუნი
პოლონეთი 5:1 პერუ
**მეორე ჯგუფური ეტაპი**
პოლონეთი 3:0 ბელგია
სსრკ 0:0 პოლონეთი
**ნახევარფინალი**
იტალია 2:0 პოლონეთი
**მესამე ადგილისთვის**
პოლონეთი 3:2 საფრანგეთი

### 1986 მექსიკა

**ჯგუფური ეტაპი**
პოლონეთი 1:0 პორტუგალია
მაროკო 0:0 პოლონეთი
ინგლისი 3:0 პოლონეთი
**მერვედფინალი**
ბრაზილია 4:0 პოლონეთი

### 2002 ს.კორეა-იაპონია

**ჯგუფური ეტაპი**
ს. კორეა 2:0 პოლონეთი
პორტუგალია 4:0 პოლონეთი
პოლონეთი 3:1 აშშ

## ეკვადორი

### 2002 ს.კორეა-იაპონია

**ჯგუფური ეტაპი**
იტალია 2:0 ეკვადორი
ეკვადორი 1:2 მექსიკა
ეკვადორი 1:0 ხორვატია



# კენგურუს თავში ვერ წამოართყამ

**ავსტრალიის** ნაკრების თავკაც გუს ჰიდინკის თქმით, მის ფეხბურთელებს მსოფლიოს გაოცება და სულ მცირე, ჯგუფიდან გასვლა ძალუძთ. ჰოლანდიელმა, რომელიც მუნდიალის შემდეგ რუსეთის მწვრთნელი გახდება, „ოზების“ მეტოქეები აქედანვე გააფრთხილა, ჩვენთან იოლ გასეირნებას ნუ ელითო.

„ბრაზილია უდავო ფავორიტია და მისგან ჯგუფში სამივე მატჩის მოგებას ელიან, თუმცა ხელწამოსაკრავები არც ჩვენ ვართ, არც იაპონია და არც ხორვატია. მერვედფინალში გასვლის შანსი თანაბარია. ჩემს ბიჭებს უკვე საკმარისად კარგად ვიცნობ და ისინი ძალიან ამბიციურები არიან. ერთია, რომ ასეთი დონის ტურნირში თამაშის გამოცდილება არ გვაქვს. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება პირველი ნაბიჯი, იაპონიასთან მატჩი. აზიელებს დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ ამ მატჩის მოგება შეგვიძლია და ამას ვაპირებთ კიდეც“ — აღნიშნა ჰიდინკმა.

როგორც ჩანს, ჰიდინკი ყველაზე მეტად, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებთან, ბრაზილიასთან შეხვედრას ელის. ეს მატჩი 18 ივნისს მიუნხენში გაიმართება. იქამდე „ოზები“ იაპონიას შეერკინებიან, ხოლო ბოლოს, 22 ივნისს, შტუტგარტში — ხორვატიას. გამოცდილი ჰოლანდიელი არანაკლებ ყურადღებას აქცევს ბერძნებთან ამხანაგურ მატჩს, რომელიც ხუთშაბათს, 25 მაისს გაიმართება. მომავალ კვირაში კი ჰიდინკი გუნდს ჰოლანდიაში წაიყვანს სავარჯიშოდ.

გუს ჰიდინკი: „ბიჭები დიდ პატივს სცემენ ბრაზილიელებს და მათ სათამაშო სტილს. მეტოქეს თამაშის ხარისხში და გამოცდილების მხრივაც დიდი უპირატესობა აქვს, მაგრამ ჩვენ ბრძოლას ვაპირებთ. ასე რომ, ავსტრალიასთან თამაში არავისთვის ადვილი არ იქნება. თუმცა იქამდე ბერძნებთან მნიშვნელოვანი შეხვედრა და მოსამზადებელი პერიოდი გველის, რომელიც კარგად უნდა გამოვიყენოთ“.

**ძოძი ძანდელაძი**

# არაგონესი ღრუბლებიდან ჩამოვა და მთას გადადგამს

*მსოფლიოს ჩემპიონატი კარზე მოგვადგა და მუნდიალის მონაწილეებმაც დროის უკუათვლა დაიწყეს. ესპანეთის ნკრების მწვრთნელი ლუის არაგონესი გუშინ მადრიდული „ასის“ კორესპონდენტს გაესაუბრა. არაგონესი გულშემატკივრებს მის მიერ სამუნდიალოდ შერჩეული ბიჭებისადმი ნდობას სთხოვს და არწმუნებს, რომ კასტილიელთა ეროვნული გუნდის ტრადიციული ფიასკო აღარ განმეორდება*





**— სენიორ ლუის, თქვენ მიერ არჩეული 23 ფეხბურთელი სამუნდიალო მზადებას იწყებს „ლას როზასის“ საწვრთნელ ბაზაზე...**

— მსოფლიოს ჩემპიონატს შესანიშნავ განწყობაზე ვხვდებით. ვფიქრობ, შესარჩევი ეტაპი კარგად გავვლეთ და მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფში პირველ ადგილზე ვერ გავედით, პლეი ოფში მაინც დავამტკიცეთ ჩვენი სიძლიერე. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა გულშემატკივრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატების ოცნება არ დაემსხვრეთ.

**— მაშინ ვთქვათ, რა საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ გვჯეროდეს იმ ფეხბურთელებისა, რომლებიც გერმანიაში გაემგზავრებიან...**

— მე 23 შესანიშნავი მაგალითი მაქვს ამისთვის... რა თქმა უნდა, მუნდიალის გარეთ დარჩენილი ფეხბურთელების შესახებ ხალხი კიდევ დიდხანს იკამათებს, მაგრამ ამას ნორმალურ მოვლენად ვთვლი. ყველას ვთხოვ, ჩემი ნაკრებისა სჯეროდეს. თითოეული მათგანი თავდაუზოგავად იბრძოლებს მოსფლიოს ჩემპიონატზე, მაგრამ ღრუბლებში ფრენას არ ვაპირებთ, წარმატება ნაბიჯ-ნაბიჯ, მატჩიდან მატჩამდე მიიღწევა. ფავორიტების დამარცხება, თავადაც იცით, იოლი საქმე არაა.

**— ისტორიულად, ესპანეთის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატებზე მუდამ მარცხი ახლდა თან...**

— მართალია. გერმანიაშიც წინასწარ ფავორიტად ჩვენი შერაცხვა შეცდომა იქნება. თუმცა ჩემი შეგირდების ოსტატობას, ძალასა და მხნეობას თუ გავითვალისწინებთ, მუნდიალზე ესპანეთის ნაკრებთან ბევრი ტიტულოვანი ფავორიტი დაღვრის სიმწრის ცრემლებს...

**— ანუ ფეხბურთელთა განწყობა საომარია?**

— ფეხბურთელებს ვთხოვ, რომ იყვნენ მაქსიმალურად პროფესიონალები. ბიჭებთან წინასაჩემპიონატო განწყობაზე ბევრი არ მისაუბრია, თუმცა ვიცი, რომ თავიანთი წარმატებისა სჯერათ. წრმენას კი, როგორც იტყვიან, მთის გადადგმაც შეუძლია ერთი ადგილიდან მეორეზე.

**— ამ რწმენით გერმანიაში, ესპანეთისთვის „დაკანონებულ“ უიღბლობასაც ეშველება?**

— ჩემი აზრით, ესპანეთის ნაკრებს ჩემპიონატზე კარგი შედეგის მიღწევა შეუძლია. რა თქმა უნდა, მსოფლიოს გრანდებში ვერ ჩავითვლებით, თუმცა იმედი მაქვს, ტურნირის ბოლოს გულშემატკივრები უკმაყოფილონი არ დარჩებიან.

**— ჯგუფში ესპანეთის მეტოქეებზე რას გვეტყვით?**

— ყველაზე სახიფათო მეტოქე უკრაინაა, თუმც ხელწამოსაკრავი არც დანარჩენია. რახან გუნდი მსოფლიოს პირველობაზე გადის, ესე იგი მის შესაძლებლობებს ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ.

**— სენიორ არაგონეს, ნაკრებში ფერნანდო მორიენტესი ვერ მოხვდა...**

— უკვე გითხარით, რომ 100 პროცენტით მჯერა იმ ოცდასამისა, რომელიც ავირჩიე და ხალხსაც ვთხოვ, მათი იმედი ჰქონდეს. სანაკრებო კანდიდატთა რიცხვი ძალიან დიდი იყო და მე შეძლებისდაგვარად რჩეულები შევკრიბე.

**— ანუ ესპანეთს „ფურია როხას“ (წითელი რისხვა, ნაკრების მეტსახელი) და მისი დამრიგებლის იმედი უნდა ჰქონდეს?..**

— რასაკვირველია. წინ მსოფლიოს ჩემპიონატი გველოდება, სადაც ჩვენი სამშობლოს ღირსება უნდა დავიცვათ.

# ცრუმორწმუნეს იტალიის სწამს

**32 წლის** სავო მილოშევიჩი როგორც ჩანს დაჭკვიანდა, რადგან სერბ და ჩერნიგორიელ ქომაგებს სთხოვა, მსოფლიოს ჩემპიონატზე არარეალურს ნურაფერს მოგვთხოვთო.

„საერთოდ ეიფორიული ხალხი ვართ, მაგრამ ვფიქრობ, ამჯერად, 1998 წელთან შედარებით, მეტ რეალიზმს გამოვიჩენთ. გერმანიაში ყოველი კონკრეტული მატჩისთვის უნდა ვემზადოთ და თუ იმ ჯგუფიდან გავაღწევთ, რომელშიც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი არგენტინა და ჰოლანდია არიან, მაშინ ძალიან შორს წამსვლელები ვყოფილვართ. მეორე მხრივ, კარგი გუნდი გვყავს და სრულიად შესაძლებელია, მშვენივრად ვითამაშოთ, მაგრამ შემდეგ ეტაპზე მაინც ვერ მოვხვდეთ. ერთი სიტყვით, ჩვენი ჯგუფი გაორმაგებული სიკვდილის ჯგუფია, რომელშიც ჩვენ არავისი გვეშინია, უბრალოდ მეტოქეებს პატივისცემით ვუყურებთ“.

ზემოთ მილოშევიჩმა 1998 წლის მუნდიალი ახსენა. მაშინდელი ნაკრებიდან სერბ-ჩერნიგორიელთა გუნდში ორი კაცია დარჩენილი, თავად მილოშევიჩი და ნახევარმცველი დეიან სტანკოვიჩი. მაშინ, 98-ში იუგოსლავიის ნაკრები მერვედფინალში გავიდა, სადაც ჰოლანდიასთან 1:2 წააგო. დღეს, მილოშევიჩი გუნდში ყველაზე სტაჟიანი ფეხბურთელია. მას 97 თამაშში 35 გოლი აქვს გატანილი.

„რვა წლის წინანდელი ფეხბურთი სხვა იყო, დღევანდელს ვერანაირად ვერ შევადარებ“ — ამბობს ფორვარდი, რომელიც 2000 წელს ევროპის ჩემპიონატზეც გამოვიდა. იმ გუნდიდან დღეს, მის გარდა ისევ და ისევ სტანკოვიჩი და მატეა კეჟმანი არიან სერბთა ბანაკში — მწვრთნელმა ილია პეტკოვიჩმა ვეტერანებისა და ახალგაზრდების შეზავება სცადა, 23 კაციან საბოლოო სიაში სამი 21 წლამდელი ახალგაზრდა შეიყვანა. მილოშევიჩი, რომელსაც ესპანურ „ოსასუნამდე“ ინგლისსა და იტალიაშიც უთამაშია, პეტკოვიჩს ფრიად აქებს:

„პეტკოვიჩი იმ ადამიანთა შორისაა, რომელიც დიალოგისთვის მუდამ მზად არის და ეს გუნდური სულისკვეთებისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანია. მას მოსმენა შეუძლია და იცის, რომელ წუთში რას ფიქრობს ფეხბურთელი“.

სხვათა შორის, მილოშევიჩი თილისმაცაა. იუგოსლავიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ერთი თამაშიც არ წაუგია, როდესაც ის მოედანზე იყო.

„ცრუმორწმუნე კაცი ვარ და რალაცების ცუდად დაცდა ვიცი, მაგრამ კარგად დაცდაც ხომ არსებობს?“ — ამბობს ფორვარდი, რომელსაც პირველი თამაშის ჩატარება 11 ივნისს ჰოლანდიასთან მოუწევს. შემდეგ, 16 ივნისს სერბები არგენტინას ხვდებიან და ბოლოს, 21-ში კოტ დივუარს.

და რას ფიქრობს მილოშევიჩი ბრაზილიაზე? რას და იმას, რომ ბრაზილიამ შესაძლოა უამრავ ადამიანს გაუცრუოს იმედი, მთავარი ფავორიტი კი მისი აზრით იტალიაა.

„იტალიელებს ჩინებულად აქვთ შეზავებული ნიჭი, ხარისხი და გამოცდილება. ბრაზილიისა და გერმანიისგან კი არ ველი წარმატებას“.

**ბაბუნა ძედია**



სავო მილოშევიჩი

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პლეი ოფი** | | | | | | |
| | | **27 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 197 | სუონსი-ბარნსლი | 2.40 | 3.10 | 2.75 | 1.35 | 1.28 | 1.45 |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 198 | გრიმსბი-ჩელტენემი | 2.35 | 3.00 | 2.75 | 1.31 | 1.26 | 1.43 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **23 მაისი** | | | | | | |
| 19:00 | 58 | დუბნიცა-რუჟომბეროკი | 4.70 | 3.50 | 1.60 | 2.00 | 1.19 | 1.09 |
| 19:00 | 59 | ნიტრა-ტრნავა | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | 1.37 |
| 19:00 | 60 | პეტრჟალკა-ბ.ბისტრიცა | 1.35 | 3.90 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.50 |
| 19:00 | 61 | პუხოვი-ინტერი | 2.20 | 3.10 | 2.85 | 1.28 | 1.24 | 1.48 |
| 19:00 | 62 | ჟილინა-ტრენჩინი | 1.55 | 3.50 | 4.80 | 1.07 | 1.17 | 2.02 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **23 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 142 | ურუგვაი-რუმინეთი(ნ) | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 15:00 | 143 | სამხრეთ კორეა-სენეგალი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 22:30 | 144 | ავსტრია-ხორვატია | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 23:45 | 145 | აშშ-მაროკო | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 146 | ნორვეგია-პარაგვაი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 22:30 | 147 | ბელგია-თურქეთი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 22:30 | 148 | ირლანდია-ჩილე | 1.70 | 3.30 | 4.60 | 1.12 | 1.24 | 1.92 |
| 23:45 | 149 | კოლუმბია-ეკვადორი(ნ) | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 21:00 | 152 | უნგრეთი-ახალი ზელანდია | 1.45 | 3.70 | 6.30 | 1.04 | 1.17 | 2.33 |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 14:30 | 150 | ავსტრალია-საბერძნეთი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 17:00 | 151 | შვედეთი-ფინეთი | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **26 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 154 | ჩეხეთი-ს.არაბეთი | 1.40 | 4.00 | 6.80 | 1.03 | 1.16 | 2.51 |
| | | **ეჩ. 2006 (21) პორტუგალია** | | | | | | |
| | | **23 მაისი** | | | | | | |
| 20:15 | 172 | სერბია(21)-გერმანია(21) | 4.50 | 3.40 | 1.70 | 1.93 | 1.23 | 1.13 |
| 22:45 | 173 | პორტუგალია(21)-საფრანგეთი(21) | 2.45 | 3.10 | 2.65 | 1.36 | 1.27 | 1.42 |
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 20:15 | 174 | უკრაინა(21)-ჰოლანდია(21) | 4.00 | 3.20 | 1.85 | 1.77 | 1.26 | 1.17 |
| 22:45 | 175 | იტალია(21)-დანია(21) | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| | | **კალათბურთი. იტალია** | | | | | | |
| | | **23 მაისი** | | | | | | |
| 22:30 | 200 | ბენეტონი-მილანი | 1.30 | 12.00 | 3.10 | 1.17 | 1.00 | 2.46 |
| 22:30 | 201 | სიენა-რომა | 1.40 | 12.00 | 2.80 | 1.25 | 1.00 | 2.27 |
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 22:30 | 202 | ბოლონია-ბიელა | 1.12 | 12.00 | 4.00 | 1.02 | 1.00 | 3.00 |
| 22:30 | 203 | ნაპოლი-უდინე | 1.20 | 12.00 | 3.10 | 1.09 | 1.00 | 2.46 |
| | | **კალათბურთი. ესპანეთი** | | | | | | |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 22:30 | 212 | ტაუ-ხირონა | 1.15 | 12.00 | 4.50 | 1.04 | 1.00 | 3.27 |
| 22:30 | 213 | ხუვენტუდი-აუნკაბელე | 1.20 | 12.00 | 3.60 | 1.09 | 1.00 | 2.76 |
| 23:00 | 214 | უნიკახა-ესტუდიანტესი | 1.15 | 12.00 | 4.50 | 1.04 | 1.00 | 3.27 |
| | | **26 მაისი** | | | | | | |
| 22:15 | 215 | ბარსელონა-რეალი | 1.25 | 12.00 | 3.50 | 1.13 | 1.00 | 2.70 |
| | | **კალათბურთი. საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 252 | მარუსი-ოლიმპიაკოსი | 2.20 | 12.00 | 1.50 | 1.85 | 1.00 | 1.33 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10142 | ურუგვაი-რუმინეთი(ნ) | 2.70 | 2.00 | 3.30 | 1.14 | 1.48 | 1.24 |
| 10143 | სამხრეთ კორეა-სენეგალი | 2.40 | 2.00 | 4.10 | 1.09 | 1.51 | 1.34 |
| 10144 | ავსტრია-ხორვატია | 3.30 | 2.00 | 2.60 | 1.24 | 1.45 | 1.13 |
| 10145 | აშშ-მაროკო | 1.90 | 2.10 | 5.00 | 1.00 | 1.37 | 1.47 |
| 10146 | ნორვეგია-პარაგვაი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10147 | ბელგია-თურქეთი | 2.65 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.50 | 1.27 |
| 10148 | ირლანდია-ჩილე | 2.10 | 2.00 | 4.80 | 1.02 | 1.46 | 1.41 |
| 10149 | კოლუმბია-ეკვადორი(ნ) | 2.85 | 2.00 | 2.90 | 1.17 | 1.43 | 1.18 |
| 10150 | ავსტრალია-საბერძნეთი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10151 | შვედეთი-ფინეთი | 1.65 | 2.40 | 6.50 | 1.00 | 1.31 | 1.75 |
| 10152 | უნგრეთი-ახალი ზელანდია | 1.75 | 2.10 | 6.00 | 1.00 | 1.35 | 1.55 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11142 | ურუგვაი-რუმინეთი(ნ) | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11143 | სამხრეთ კორეა-სენეგალი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11144 | ავსტრია-ხორვატია | 4.50 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.20 |
| 11145 | აშშ-მაროკო | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 8.00 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11146 | ნორვეგია-პარაგვაი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11147 | ბელგია-თურქეთი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11148 | ირლანდია-ჩილე | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11149 | კოლუმბია-ეკვადორი(ნ) | 3.70 | 10.00 | 20.00 | 4.30 | 4.40 | 4.50 | 20.00 | 10.00 | 3.70 |
| 11150 | ავსტრალია-საბერძნეთი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.20 |
| 11151 | შვედეთი-ფინეთი | 1.75 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 8.00 | 20.00 | 10.00 | 7.50 |
| 11152 | უნგრეთი-ახალი ზელანდია | 1.85 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 8.00 | 20.00 | 10.00 | 7.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12142 | ურუგვაი-რუმინეთი(ნ) | 1.70 | 1.90 |
| 12143 | სამხრეთ კორეა-სენეგალი | 1.70 | 1.90 |
| 12144 | ავსტრია-ხორვატია | 1.70 | 1.90 |
| 12145 | აშშ-მაროკო | 1.70 | 1.90 |
| 12146 | ნორვეგია-პარაგვაი | 1.70 | 1.90 |
| 12147 | ბელგია-თურქეთი | 1.70 | 1.90 |
| 12148 | ირლანდია-ჩილე | 1.70 | 1.90 |
| 12149 | კოლუმბია-ეკვადორი(ნ) | 1.70 | 1.90 |
| 12150 | ავსტრალია-საბერძნეთი | 1.70 | 1.90 |
| 12151 | შვედეთი-ფინეთი | 1.90 | 1.70 |
| 12152 | უნგრეთი-ახალი ზელანდია | 1.90 | 1.70 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 13142 | ურუგვაი-რუმინეთი(ნ) | 1.70 | 1.90 |
| 13143 | სამხრეთ კორეა-სენეგალი | 1.70 | 1.90 |
| 13144 | ავსტრია-ხორვატია | 1.70 | 1.90 |
| 13145 | აშშ-მაროკო | 1.70 | 1.90 |
| 13146 | ნორვეგია-პარაგვაი | 1.70 | 1.90 |
| 13147 | ბელგია-თურქეთი | 1.70 | 1.90 |
| 13148 | ირლანდია-ჩილე | 1.70 | 1.90 |
| 13149 | კოლუმბია-ეკვადორი(ნ) | 1.70 | 1.90 |
| 13150 | ავსტრალია-საბერძნეთი | 1.70 | 1.90 |
| 13151 | შვედეთი-ფინეთი | 1.85 | 1.65 |
| 13152 | უნგრეთი-ახალი ზელანდია | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14142 | ურუგვაი-რუმინეთი(ნ) | 1.80 | 2.00 |
| 14143 | სამხრეთ კორეა-სენეგალი | 1.70 | 2.10 |
| 14144 | ავსტრია-ხორვატია | 1.90 | 1.65 |
| 14145 | აშშ-მაროკო | 1.27 | 2.30 |
| 14146 | ნორვეგია-პარაგვაი | 1.70 | 2.10 |
| 14147 | ბელგია-თურქეთი | 1.75 | 2.20 |
| 14148 | ირლანდია-ჩილე | 1.40 | 2.40 |
| 14149 | კოლუმბია-ეკვადორი(ნ) | 1.80 | 1.80 |
| 14150 | ავსტრალია-საბერძნეთი | 1.65 | 2.10 |
| 14151 | შვედეთი-ფინეთი | 1.12 | 2.50 |
| 14152 | უნგრეთი-ახალი ზელანდია | 1.15 | 2.50 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15142 | ურუგვაი-რუმინეთი(ნ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15143 | სამხრეთ კორეა-სენეგალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15144 | ავსტრია-ხორვატია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15145 | აშშ-მაროკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15146 | ნორვეგია-პარაგვაი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15147 | ბელგია-თურქეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15148 | ირლანდია-ჩილე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15149 | კოლუმბია-ეკვადორი(ნ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15150 | ავსტრალია-საბერძნეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15151 | შვედეთი-ფინეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15152 | უნგრეთი-ახალი ზელანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16142 | ურუგვაი-რუმინეთი(ნ) | 1.55 | 2.00 |
| 16143 | სამხრეთ კორეა-სენეგალი | 1.40 | 2.30 |
| 16144 | ავსტრია-ხორვატია | 2.00 | 1.60 |
| 16145 | აშშ-მაროკო | 1.20 | 3.00 |
| 16146 | ნორვეგია-პარაგვაი | 1.50 | 2.10 |
| 16147 | ბელგია-თურქეთი | 1.50 | 2.10 |
| 16148 | ირლანდია-ჩილე | 1.25 | 3.00 |
| 16149 | კოლუმბია-ეკვადორი(ნ) | 1.80 | 1.65 |
| 16150 | ავსტრალია-საბერძნეთი | 1.40 | 2.30 |
| 16151 | შვედეთი-ფინეთი | 1.11 | 4.00 |
| 16152 | უნგრეთი-ახალი ზელანდია | 1.14 | 3.80 |

### გოლი:წყვილი-1ლი კენტი-2.
(0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17142 | ურუგვაი-რუმინეთი(ნ) | 1.85 | 1.95 |
| 17143 | სამხრეთ კორეა-სენეგალი | 1.85 | 1.95 |
| 17144 | ავსტრია-ხორვატია | 1.85 | 1.95 |
| 17145 | აშშ-მაროკო | 1.85 | 1.95 |
| 17146 | ნორვეგია-პარაგვაი | 1.85 | 1.95 |
| 17147 | ბელგია-თურქეთი | 1.85 | 1.95 |
| 17148 | ირლანდია-ჩილე | 1.85 | 1.95 |
| 17149 | კოლუმბია-ეკვადორი(ნ) | 1.85 | 1.95 |
| 17150 | ავსტრალია-საბერძნეთი | 1.85 | 1.95 |
| 17151 | შვედეთი-ფინეთი | 1.85 | 1.95 |
| 17152 | უნგრეთი-ახალი ზელანდია | 1.85 | 1.95 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# თვალს ნუ აარიდებთ პერსპექტივას

## მხატვრულად ტანმოვარჯიშეები თავის სამართალს ეძებენ



ელისო ბედოშვილი და ნელი სალაძე

**ტანვარჯიშის** სახეობათა ეროვნულ ფედერაციაში ჩატარებულ პრესკონფერენციას გუშინ სპორტის დეპარტამენტის დარბაზში მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციის კონტრპრესკონფერენცია მოჰყვა. სასაუბრო თემა, ცხადია, ისევ ის განხეთქილება იყო, რომელიც 2004 წლიდან იღებს სათავეს. ჟურნალისტებს ფედერაციის დამფუძნებლები, მწვრთნელები და ტანმოვარჯიშეთა მშობლები შეხვდნენ.

ნაკრების მწვრთნელმა *ელისო ბედოშვილმა* ჯერ სახეობათა ფედერაციისგან გამოყოფის პერიოდი გაიხსენა, მერე კი დაპირისპირებული მხარე თავისი სპორტსმენების ჩაგვრაში ამხილა:

„თორმეტი წლის განმავლობაში თავგანწირულად ვმუშაობდით. ოღონდ საქმე გაგვეკეთებინა, პირად კეთილდღეობაზე ფიქრი საერთოდ გვერდზე გადავდეთ, მაგრამ მარტო ჩვენი მონდომება რას იზამდა, როცა დაფინანსება საერთოდ არ გვქონდა. ხშირ შემთხვევაში სპორტსმენები მშობლების დაფინანსებით მიგვყავდა ტურნირებზე.



ელისო ბედოშვილს ყველაზე მეტად თათია დონაძისა და ქეთი ხატიაშვილის ეიმედება

მსოფლიოს ჩემპიონატი ახლოვდებოდა და არანაირი სატურნირო გამოცდილება არ გვქონდა. ცხადია, შედეგიც ვერ ვაჩვენეთ და ჩამოსვლისთანავე მიწასთან გაგვასწორეს. ყველაფერი მწვრთნელებს დაგვაბრალეს. მაშინდელმა პრეზიდენტმა ომარ ლონლაძემ კი პირდაპირ გვითხრა, მხატვრული ტანვარჯიში არაფერში მჭირდება, სადაც გინდათ, იქ წადით, ჩემთვის მთავარი საფიქრალი ბატუტიაო. რა უნდა გვექნა, ავდექით და ყველანი ნელი სალაძესთან მოვედით და ისიც დახმარებას დაგვპირდა. მალე სპონსორიც მოძებნა".

ახალი ფედერაცია დაფუძნდა და ფინანსური კრიზისიც დასრულდა, თუმც ამის მერე მთავარი პრობლემა ნიჭიერი ტანმოვარჯიშეების საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანა გახდა.

*ელისო ბედოშვილი:* „წელიწადნახევარია, დიდ ტურნირებზე ვერ გამოვდივართ, რადგან ამის უფლება არ გვაქვს. ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია სასტიკი წინააღმდეგია, ჩვენთან მოვარჯიშე პერსპექტიული სპორტსმენები დიდ ტურნირებზე წაიყვანოს. ის კი არა, თბილისა და საქართველოს პირველობებზე გამოსვლის ნებასაც კი არ გვაძლევენ. იყო შემთხვევები, უცხოურ ტურნირებზე ორგანიზატორებს ფაქსი გაუგზავნეს, თვითნებურად ჩამოსვლას აპირებენ და არ დაუშვათო. რეალურად თუ შევხედავთ, დღეს ჩვენთან მოვარჯიშე ქეთი ხატიაშვილი და თათია დონაძე საუკეთესონი არიან და მათი დაბლოკვა ქართული სპორტის ინტერესებში არ შედის.

მწვრთნელის შემდეგ თავისი აზრი მშობლებმაც გამოთქვეს. მათ კატეგორიულად უარყვეს გასულ კვირაში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოთქმული აზრი, თითქოს სალაძე და მისი გუნდი ტანმოვარჯიშეთა მშობლებს დაპირებებით ატყუებენ. მათვე ახსენეს არჩევნები, რომელზეც ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი რუსუდან სიხარულიძე გახდა. მშობლების და მწვრთნელების თქმით, გამარჯვებულის ბედი მანდატების უსამართლოდ გადანაწილებამ გადაწყვიტა. ბოლო სიტყვა კი მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციისა იყო.

*ნელი სალაძე:* „მე იმიტომ დავბრუნდი ტანვარჯიშში, რომ მინდა, მას როგორმე დავეხმარო. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ ძალიან კარგი თაობა მოდის, მაგრამ მას ხელშეწყობა სჭირდება. რაც შეიძლება, მეტ ტურნირზე უნდა გამოვიდნენ და მსოფლიოს ელიტაში დამკვიდრდნენ. უკვე 5 გრან პრი და 1 მსოფლიოს თასის ეტაპი გამოგვატოვებინეს, თავად კი 2-ჯერ წავიდნენ. სპორტის დეპარტამენტი და პირადად დავით ნამგალაური ჯერჯერობით ამაოდ ცდილობენ ბავშვების ინტერესის დაცვას. არადა, უკვე ყოველი დღე ძვირფასია".

მხატვრულად ტანმოვარჯიშეები ქართული სპორტის ხელმძღვანელებისგან სპეციალური კომისიის შექმნას ითხოვენ, რომელიც ძირფესვიანად შეისწავლის შექმნილ მდგომარეობას და დაასკვნის, რომელი სპორტსმენი იმსახურებს საერთაშორისო არენაზე გასვლას. არადა, დრო მართლა აღარ ითმენს — უახლოესი გრან პრი 9 ივნისს ისრაელში იმართება.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# რიმას, ვისპარინგოთ?

## კურტინაიტისმა თბილისში აზერბაიჯანის ნაკრები ჩაოიყვანა

**გუშინ** თბილისს მეტად დაფასებული და კარგად ნაცნობი სტუმარი ეწვია. ლიტვისა და საბჭოთა კალათბურთის ყოფილმა ვარსკვლავმა, ახლა კი მწვრთნელად შემდგარმა რიმას კურტინაიტისმა საქართველოში აზერბაიჯანის ნაკრები სასპარინგოდ ჩამოიყვანა. კურტინაიტისი თბილისში მრავალჯერ ყოფილა კომუნისტების დროს, თუმცა ბოლო წლებშიც არაერთხელ ჩამოგვაკითხა. 2002 წელს ნიკოლოზ დერიუგინის აქტიური სპორტიდან წასვლის მატჩზე კურტინაიტისმა თავისი ჯადო სამქულიანები გვაჩვენა, ხოლო 2 წლის წინ ის ბაქოს „გალას" ჩამოუძღვა თბილისში ამხანაგური მატჩების გასამართად. ახლანდელი მისიაც სპარინგია, თუმც ამჯერად რიმასს აზერთა ეროვნული გუნდი აბარია. გუშინ კურტინაიტისმა პრესკონფერენცია მოაწყო „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე, სადაც მოგვიანებით სპარინგ-მატჩიც შედგა.

— თბილისში იმიტომ ჩამოვედით, რომ „დინამოსთან" მატჩებში გარკვეული გამოცდილება შევიძატოთ, რომელიც კარსმომდგარ ოფიციალურ მატჩებში წაგვადგება. აზერბაიჯანის ნაკრები ვერაა ევროპის მოწინავე გუნდებს შორის და შესაბამისად, კონტინენტის უმდაბლეს სანაკრებო ტურნირში — „პრომოუშენ ქაფში" თამაშობს. მალე ჩვენ ალბანეთში გავემგზავრებით, სადაც ჩვენთად ერთად სან მარინოს, მალტის, გიბრალტარის, უელსის, შოტლანდიისა და სხვა ნაბოლარა საკალათბურთო ქვეყნების ნაკრებები შეიკრიბებიან...

— გვინდოდა, საქართველოს მოწინავე გუნდებს გავჯიბრებოდით, მაგრამ ჩემპიონატი ჯერ არ იყო დამთავრებული და ფინალისტებთან მოლაპარაკებას წინასწარ აზრი არ ჰქონდა. ამიტომაც გადავწყვიტეთ, „დინამოს" დავკავშირებოდით და ამ გუნდის ხელმძღვანელობისგან დადებითი პასუხიც მივიღეთ...

— ჩვენს ნაკრებში თამაშობს დავით ბარბაქაძე, რომელიც ძალიან მონდომებული ყმაწვილია და თუ სერიოზულად გააგრძელებს ვარჯიშს, წარმატებასაც მიაღწევს. მის გარდა აზერბაიჯანული პასპორტი აქვთ კირილე ტატუნაშვილსა და ნიკა ნოზაძეს, მაგრამ კირილემ უდისციპლინობის გამო ვერ დაიმსახურა აზერბაიჯანის ნაკრებში ადგილი, ხოლო ნოზაძეზე სამომავლო იმედებს ვამყარებთ. ჩვენს ნაკრებს განსაკუთრებით ფარქვეშ უჭირს და შედარებით ტანმაღალ ბარბაქაძეზეც ამიტომ შევაჩერთ არჩევანი.

ამის შემდეგ „დინამოსა" და აზერთა ეროვნულ ნაკრებს შორის ჯიგრიანი სპარინგი გაიმართა, რომელიც ჩვენების გამარჯვებით დასრულდა. აზერბაიჯანელები „დინამოსთან" ხვალ დილასაც ისპარინგებენ და საღამოს სამშობლოს გზას გაუყვებიან.

**ირაკლი პერტაია**

# 2006 NBA Playoffs



AFP დეტროიტიდან

ლებრონ ჯეიმსი „დეტროიტს" ბოლომდე ვაჟკაცურად ეომა

# ბედნიერება შენს ხელთაა

## მაგრამ როცა შენი ბედი სხვის ხელშია?

21 მაისი

**მეორე წრე**

**აღმოსავლეთი**

დეტროიტი 4:3 კლივლენდი

**დეტროიტი 79:61 კლივლენდი**

**დეტროიტი:** ბილაფსი (12), ჰამილტონი (15), პრინსი (20), რ. ვოლესი (13), ბ. ვოლესი (6); ჰანტერი (7), მაკდაიესი (6), დელკი, ევანსი

**კლივლენდი:** სნოუ (4), მიურეი (2), ჯეიმსი (27), გუდენი (2), ილგაუსკასი (8); ჰიუზი (10), ვარეშაო (6), მარშალი (2), პავლოვიჩი, ჯონსი

ამ ერთხელაც და ახლა უკვე საბოლოოდ — ლებრონ ჯეიმსი კვლავ შეუჩერებელი იყო და მისმა გუნდმაც გვარიანად აატკივა თავი ფავორიტ „დეტროიტს", მაგრამ, წინა მატჩებისგან განსხვავებით, ამჯერად მხოლოდ და მხოლოდ პირველ ტაიმში...

ლებრონი დაფრინავდა, ბურთს ბურთზე ტენიდა, ხოლო მისი ფრენით ფრთაშესხმული „კლივლენდიც" გვერდიგვერდ მიჰყვებოდა „დეტროიტს". მასპინძლებმა პირველი მეოთხედი 21:15 მოიგეს, მეორე კი სტუმრებისა იყო — 23:19. პირველ ტაიმში ლებრონმა არც მეტი, არც ნაკლები, 21 ქულა მოიხვეჭა, 4-ით მეტი, ვიდრე სხვა მისიანებმა ერთად. „კლივლენდიც" დიდ შესვენებაზე მხოლოდ 2-ქულიანი ჩამორჩენით და უკეთესი მეორე ტაიმის იმედით წავიდა. პლეი ოფში ბოლოს 1998 წელს მოხვედრილ და მაშინაც იქიდან კინწისკვრით გამოყრილ „კავალერიას" ახლა სულ რაღაც 24 სათამაშო წუთი აშორებდა აღმოსავლეთის ფინალს. ბედნიერება თითქოს შენს ხელთაა, გაიწვდინე და მიიღე!

მაგრამ უკაცრავად, ვინ მოგცათ ამის ნება?!

მეორე ტაიმში „დეტროიტმა" „კლივლენდს" ის გაუკეთა, რაც ასე აშინებს ამ გუნდის მეტოქეებს და რისგანაც ლებრონ ჯეიმსის გუნდი აქამდე ასე თუ ისე ახერხებდა თავის დაძვრენას. მასპინძელთა დაცვამ ისე მოგუდა სტუმართა მოიერიშეები თავის ლებრონიანად, რომ ხალხმა ლამის ამათი ძვლების ჭახა-ჭუხი გაიგონა. თავად ლებრონმა მეორე ტაიმში თამაშიდან მხოლოდ ერთხელ ჩააგდო და 21-ქულიან საპირველტაიმო მონაგარს ექვსიღა მიამატა. მისი გუნდს მეორე ტაიმში სულ 23 მოუგროვდა და აღმოსავლეთის ფინალის საგზური კი არა, პლეი ოფის ყველა დროის საყოველთაო ანტირეკორდილა შერჩა.

„დეტროიტი" ზედიზედ მეოთხედ გავიდა კონფერენციის ფინალში, ლებრონისთვის კი ასე უსიხარულოდ დასრულდა პირველი პლეი ოფი. მაგრამ ნუ განვსჯით ასე მკაცრად ამ უკვე ჩამოყალიბებულ სუპერვარსკვლავს. მან საკმარისზე მეტად ისახელა თავი, ნბა-ს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს ბოლომდე გამოსწურა ძალა.

**კოტე ყორშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშხიანი და მომხიბვლელი! მისმა უჩვეულოდ მოკლე და გულახდილმა კაბამ და კოხტა, ნარნარა სხეულმა 70-იან წლებში მილიონობით მაყურებელი შესძინა ქალთა ჩოგბურთს. მაგრამ კრის ევერეტი მხოლოდ სპორტული მოდის რევოლუციონერი და მამრთა გულთამპყრობელი რომ ყოფილიყო, სპორტის ამ სახეობის ისტორიას თავისი ეპოქის ერთ-ერთ ლამაზმანად შემორჩებოდა და არა თვით ამ ისტორიის შემქმნელად და ლეგენდად. მოკლე კაბა და ფიქრთაამშლელი ტანი მხოლოდ პირველადი შთაბეჭდილებაა, მის იქით შეუიარაღებელი თვალით და ჩოგბურთის მცოდნეთა თქმის გარეშეც ჩანდა რკინის ნებისყოფა და გამარჯვებისკენ ლტოლვა, მოკლედ, დიდი სპორტსმენი.
17-წლიან პროფესიულ კარიერაში 7 წელი ქალური საჩოგბურთო ნახევრის დედოფალი იყო. მოიგო 1307 მატჩი და 157 ტურნირი, აქედან 18 დიდი სლემისა. მოკლედ, კრის ევერეტი გახლავთ ყველაზე თუ არა ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი ჩოგბურთელი ქალი. დღეს იგი 52 წლის მომხიბლავი ქალბატონია, ჟამიდან ჟამამდე დიდ საჩოგბურთო ტურნირზე კომენტატორად მუშაობს და კალიფორნიაში თავისი სახელობის საჩოგბურთო სკოლა აქვს გახსნილი, სადაც მისი ძმა ჯონი ჩვენებური ანა ტატიშვილის პირადი მწვრთნელია.

# ქალის სურნელი

## ღმერთო ჩემო, არ სჯერა კრის ევერტს

## ჩვენ კი ანა ტატიშვილის კლაისტერსობისა გვჯერა



ჩოგბურთის ლეგენდასთან ინტერვიუ დიდი ხნის მოლაპარაკების შემდეგ მოხერხდა. ამაში ჯონ ევერტიც დაგვეხმარა. მისი ჩარევის შემდეგ დათქმულ დროს კრის ევერტი ჩვენ ზარს ელოდა. ჩვენც დავრეკეთ და...

— თქვენ, ალბათ, კრისტინ მარი ევერტს ურეკავთ. მე მისი მდივანი ვარ. თუ შეთანხმებული ხართ, გადავამოწმებ და ათ წუთში გადმორეკეთ — გვითხრა სასიამოვნო ხმის მქონე ქალბატონმა.

ათ წუთში ხელახლა ავკრიფეთ ჯონ ევერტის მოცემული ნომერი.

— გამარჯობათ, ისევ საქართველოდან გირეკავთ. დაგვაკავშირებთ ქალბატონ კრის ევერტთან?

— კრის ევერტი გისმენთ. მდივანმა მითხრა, რომ მირეკავდით. რამდენიმე წუთია, რაც აკადემიაში მოვედი და მისი გაფრთხილება დამავიწყდა. ბოდიშს გიხდით, რომ შეგაყოვნეთ.

— პირიქით, გმადლობთ, რომ ინტერვიუზე დაგვთანხმდით.

— საერთოდ, არ მიყვარს ინტერვიუების მიცემა. რაც სალაპარაკო მქონდა, მგონი, ყველაფერი ვთქვი. თან ჟურნალისტებს აღარ ვენდობი, განსაკუთრებით კი პრესას. ერთს ვამბობ და მეორეს წერენ. დიდი-დიდი, წელიწადში ორი-სამი ინტერვიუ მივცე, ისიც ტელევიზიებს, მაგრამ თქვენ ისე შორიდან რეკავთ და ისეთი ქვეყნიდან, სიმართლე გითხრათ, მეც დამაინტერესა. მოდით, დროს ნუ დავკარგავთ და დავიწყოთ.

— პირველ რიგში, ანა ტატიშვილზე გვინდა გკითხოთ. ანა თქვენს საჩოგბურთო აკადემიაში სწავლობს და თქვენი ძმა ავარჯიშებს.

— ანა ჩვენს აკადემიაში მოსვლის პირველივე დღიდან მახსოვს. ფუმფულა გოგო იყო, ძალიან ბავშვური და ცოცხალი გამოხედვით. რომ მითხრეს, ჯორჯიადან არისო, თავიდან შტატი მეგონა, მაგრამ მერე ამიხსნეს, რომ ასეთი სეხლწოდების ქვეყანაც ყოფილა ყოფილ საბჭოთა კავშირში. აკადემიაში ყველა მსურველი ვერ ხვდება. როგორი ფინანსური საშუალებაც უნდა ჰქონდეს, თუ მონაცემები არ აქვს, უარს ვეუბნებით, რადგან თუ მისგან კარგი ჩოგბურთელი არ გამოვა, ვურჩევთ, სხვა საქმეს მოჰკიდოს ხელი. ჩვენი აკადემიიდან გასული საშუალო დონის ჩოგბურთელიც კი პრესტიჟს შეგვილახავს. სახელს და პატივისცემას კი ფულით ვერ იყიდი. ასე რომ, გვირჩევნია, არც ერთი მხარე არ დარჩეს მოტყუებული.

— რადგან ანა ტატიშვილი ჯერ კიდევ თქვენთანაა, ესე იგი, ის აკმაყოფილებს თქვენს მოთხოვნებს?

— დახ, ანას ძალიან დიდი მომავალი ექნება თუ არ იზარმაცებს და რეჟიმს გაუძლებს. ამის ალბათობა მინიმალურია, რადგან ძალიან შრომისმოყვარე და მიზანდასახულია. როდესაც მისი თამაში პირველად ვნახე, შევატყვე, რომ ნიჭი ჰქონდა, მაგრამ ელემენტარულ შეცდომებს უშვებდა. ეს შეიძლება მისი ბავშვური ასაკის ბრალიც იყო. ერთი კი ცხადია, მას აკლდა ის ცოდნა, რაც 13-14 წლის ჩოგბურთელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს. ჩვენ, ფაქტობრივად, ნულიდან დავიწყეთ და ორ წელიწადში ეს ჩამორჩენა ამოვქაჩეთ. ახლახანს ანას საჩოგბურთო გარდატეხის პერიოდი ჰქონდა... საბედნიეროდ, მან ეს ეტაპი ბრწყინვალედ გადალახა. არადა, ეს ასაკია გადამწყვეტი. თუ ვერ დაძლიე გარდამავალი პერიოდის სირთულეები, მერე ერთი პროცენტი გაქვს შანსი, რომ გაიხსნა.

— შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანა მზადაა პროფესიონალებში სათამაშოდ?

— ანამ უკვე ითამაშა პროფესიონალებში და საკმაოდ წარმატებით. ოღონდ მისთვის ჯერ ადრეა მთლიანად პროფესიონალებში გადართვა. ანამ ჩვენს აკადემიაში მოსვლამდე რამდენიმე წელი, ფაქტობრივად, დაკარგა და ეს დაკარგული დრო აყოვნებს კიდეც მის სანახევროდ მაინც გაპროფესიონალებას. საკუთარ თავზე სამუშაო კიდევ ბევრი აქვს, თანაც ამ მომენტში მთავარია, მისი, როგორც ჩოგბურთელის ფსიქოლოგიურად ჩამოყალიბება. წელიწადში სამი-ოთხი პროფესიული ტურნირი საკმარისი იქნება, თორემ თუ ხშირ წაგებებს მიეჩვია, მერე კომპლექსი ჩამოუყალიბდება და ფსიქოლოგიურადაც გატყდება. ვფიქრობთ, გაისამდე თავისი ასაკის ჩოგბურთელებში უნდა დაოსტატდეს და წლეულს თავი ორ-სამ პროფესიულ ტურნირზე შეამოწმოს. ამით გამოცდილებასაც მიიღებს და როგორც ჩოგბურთელი ძალიან გაიზრდება. ამაში მისი მამა და ჩემი ძმა მეთანხმებიან, ანაც ხვდება, რომ მოცდა სჯობია. მერე გაცილებით ადვილი იქნება წინსვლა.

— შეიძლება თამამი კითხვა იყოს, მაგრამ ახლანდელი ანა რომელი ცნობილი ჩოგბურთელის პირველ პროფესიულ ნაბიჯებს მოგაგონებთ?

— იცით, ამ კითხვაზე გამიჭირდება პასუხის გაცემა... ძალიან მინდა, რომ 16 წლის მონიკა სელეშს ან მარტინა ჰინგისს შევადარო, მაგრამ ასე არაა. ერთი კი ნაღდია, თამაშის სტილითა და აღნაგობით უფრო კიმ კლაისტერსს ჩამოჰგავს.

— თქვენთვის ეს საკმარისია?

— ალბათ, არა, რადგან ანა ამ ასაკში უფრო მაგარი უნდა ყოფილიყო, თუმც ორ წელიწადში თქვენ თვითონ ნახავთ, როგორ გაამწარებს პირველი ათეულის ჩოგბურთელებს.

— თანამედროვე ჩოგბურთში ვინ მიგაჩნიათ ყველაზე ძლიერ მოთამაშედ?

— სიძლიერეზე რეიტინგები მეტყველებენ, მე კი ჟუსტინ ენენ-არდენი და მარია შარაპოვა მომწონს ძალიან. კაცებში კი როჯერ ფედერე-



1985. ბოლო 25 წლის საუკეთესო სპორტსმენი



1974. უიმბლდონი.
კრის ევერტი და ჯიმი კონორსი



ჯონ ლოიდთან ერთად



მტრები კორტზე და მეგობრები ცხოვრებაში:
მარტინა ნავრატილოვა და კრის ევერტი

ეროვნული ბიბლიოთეკა


2005 წელი. მეუღლე ენდი მილთან და შვილებთან ერთად



ანა ტატიშვილი


2005 წელი. მარია შარაპოვასთან ფილმ „უიმბლდონის“ პრემიერაზე

რი შეუდარებელია. ისე, გული მწყდება მარტინა ჰინგისზე და ჯენიფერ კაპრიატიზე. მარტინას სულელური ტრავმა რომ არ მიელო, ლეგენდა გახდებოდა. კაპრიატი კი მშობლებმა, მენეჯერმა და მრჩევლებმა დალუპეს. მისგან ფულის საჭრელი მანქანის გაკეთება უნდოდათ. იმდენად დიდი იყო მასზე ზეწოლა, რომ ველარ გაუძლო სტრესს და რაც მოუვიდა, ყველამ იცის — მან შვება ნარკოტიკში და ალკოჰოლში იპოვა. მართალია, ჰინგისიც და კაპრიატიც ასე თუ ისე დაუბრუნდნენ დიდ ჩოგბურთს, მაგრამ ეს ის არ იყო, რაც უნდა ყოფილიყო. ჩოგბურთმა ვუნდერკინდები დაკარგა.

**— ჟუსტინ ენენი და მარია შარაპოვა გამორჩეულად რატომ მოგწონთ?**

— ენენი ყველანაირ საფარზე ერთნაირი სიძლიერით თამაშობს. მოქნილი და დაუღლელი მოთამაშეა. ტექნიკაც უზადო აქვს. მის თამაშს რომ ვუყურებ, ჩემი თავი მახსენდება. მეც ყველანაირ საფარზე შემეძლო ძლიერი თამაში. არ მესმის იმათი, ვინც ამბობს, რომ თიხნარზე ისე ვერ თამაშობს, როგორც ბალახზე. თუ პროფესიონალი ხარ, ყველგან უნდა ითამაშო. საგანგებოდ ვვარჯიშობდი ყველანაირ საფარზე, რადგან ხალხი შენი ლამაზი თამაშის საყურებლად მოდის და არა იმის გასაგებად, გრუნტზე უკეთ თამაშობ, თუ ბალახზე.

მარია შარაპოვა კი ყველაფრის ნაზავია. გსიამოვნებს, როდესაც მოდელის ტანის და ლამაზი სახის გოგონა ასე დიდოსტატურად თამაშობს. რაც მთავარია, მარია შარაპოვა ათლეტია, აქ ზე კი განსაკუთრებით ვამახვილებ ყურადღებას, რადგან მომწონს ნაზი, ტექნიკური და იმავდროულად ძალისმიერი მოთამაშეები. ასეთი სინთეზი იდეალურია. ჩემი აზრით შარაპოვა საუკეთესოა. სხვათა შორის 1985 წელს უკვე 31 წლისამ ბოლო 25 წლს მანძილზე საუკეთესო ათლეტი ქალის პრიზი მოვიგე და ამ საკითხში სხვაზე მეტი გამეგება.

**— ძალისმიერი თამაშში დებ უილიამსებს ვინმე შეედრება?**

— უილიამსები დიდი ჩოგბურთელები არიან, მაგრამ მარტო ძალა არაფერს წყვეტს. მეტი ფანტაზია, ელასტიურობა და რაც მთავარია, ქალურობაა საჭირო.

**— ანუ?**

— როგორ აგიხსნათ, არც ვიცი... ქალს უნდა ეტყობოდეს, რომ ქალია. კაცებისგან განსხვავებით, ქალთა ჩოგბურთი ამიტომ იყო ყოველთვის უფრო საინტერესო და მიმზიდველი. კორტსმიღმა ცხოვრებაც გასათვალისწინებელია. როდესაც ვარსკვლავი ხარ, ძნელია, მშვიდი ცხოვრება გქონდეს, მაგრამ ნამდვილი ვარსკვლავები ამას ახერხებენ. ამიტომაც ვაფასებ ბილი ჯინ კინგს, შტეფი გრაფს, მონიკა სელეშს, მარტინა ნავრატილოვას, მარტინა ჰინგისს... არ მომწონს ანა კურნიკოვა, თუმცა, როგორც ჩოგბურთელზე, მასზე უკვე წარსულში უნდა ვილაპარაკო. კურნიკოვას ჩაგბურთი პოპულარობისთვის სჭირდებოდა. მას არ უნდოდა თამაში არც თავისი და არც პუბლიკის სიამოვნებისთვის. როგორც კი მილიონიანი კონტრაქტები გააფორმა, დაავიწყდა ის საქმე, რომელმაც აშოვნინა ეს ფული. ფული ჩვენც გვქონდა. მე, ნავრატილოვამ და კინგმა ორ წელიწადში მილიონები გამოვიმუშავეთ, მაგრამ საყვარელი საქმე აბუჩად არასოდეს აგვიგდია. ეს ჩოგბურთის უპატივცემულობაა. ამას კი ვერავის ვაპატიებ, რადგან კორტი და ჩოგანი ჩემი ცხოვრებაა.

**— თანამედროვე ჩოგბურთს რომ უყურებთ, ყველაზე მეტად რაზე გწყდებათ გული?**

— უფრო კორტსმიღმა ცხოვრებაზე და ჩოგბურთელების ურთიერთობაზე. თანამედროვე ჩოგბურთს აღარ ჰყავს კოლორიტები, ისეთები, როგორებიც იყვნენ ჯონ მაკინროი, არტურ ეში, ბორის ბეკერი, მარტინა ნავრატილოვა, თუნდაც იანიკ ნოა, ვინც დიდი ჩოგბურთელი არასდროს ყოფილა, მაგრამ ხალხს ძალიან უყვარდა. მოთამაშეებსაც უყვარდათ ხალხი. ეს არის დიდი სხვაობა ახლანდელ და უწინდელ ჩოგბურთს შორის. მახსოვს, როგორ ახლოს ვიყავით ჩვენს ფანებთან. მე და მარტინა ნავრატილოვა კორტზე მტრები ვიყავით, ლეგენდარული მატჩები გვითამაშია, ისეთი ომი გვქონდა, ათი ჰოლივუდური ფილმის სცენარს ეყოფოდა თუნდაც ერთი მატჩი, მაგრამ კორტსმიღმა ჩვენზე კარგ მეგობრებს ვერც ნახავდით. მე, მარტინა, ბილი ჯინ კინგი, არტურ ეში, ბიორნ ბორგი, ჯიმი კონორსი, სტენ სმიტი სულ ერთად ვიყავით, ერთად ვიზიარებდით გასაჭირსაც და წარმატებასაც. ახლა კი რა ხდება? ჩოგბურთი ბეისბოლს დაემსგავსა, სადაც უამრავი პროფესიონალია, მაგრამ ვერ ვხედავ მეგობრობას, ერთმანეთის პატივისცემას.

**— თაობათა შედარება ყოველთვის აქტუალურია. როგორ ფიქრობთ, თქვენი თაობა უფრო ვარსკვლავური იყო თუ ახლანდელი?**

— დიდი ჩოგბურთელები არც იმ თაობას აკლდა და არც ახლანდელს, მაგრამ ჩვენი თაობის ჩოგბურთი უფრო საინტერესო იყო. ახლა აღარ არის თაობათა დაპირისპირება. წარმოიდგინეთ, ჩემი და ნავრატილოვას მატჩები რომ არ ყოფილიყო, ან ნავრატილოვა—გრაფი, თუნდაც სელეში—გრაფი. ახლა სად არიან 27, 28, 30 და 32 წლის ჩოგბურთელები. ერთი სიტყვით, თანამედროვე ჩოგბურთმა ის შარმი დაკარგა, რასაც თაობათა დაპირისპირება ჰქვია.

**— თქვენთვის ყველაზე გამორჩეული რომელი ტურნირი იყო?**

— უიმბლდონი! კარის კაციდან დაწყებული, ბურთის მომწოდებლით დასრულებული, ყველასგან იგრძნობა არისტოკრატია, მოწიწება, პატივისცემა. სხვაგან არსად ტრიალებს ისეთი საჩოგბურთო სული, როგორიც უიმბლდონზე. თანაც უიმბლდონი 19 წლისამ მოვიგე და ეს იყო პირველი ტურნირი, სადაც მშობლების გარეშე წავედი. მაშინ არ იყო პირდაპირი რეპორტაჟები და მახსოვს, ნამატჩევს როგორ დავურეკე მამაჩემს ფლორიდაში და წყნარი ხმით ვუთხარი — „მამა, მე მოვიგე!“ მამაჩემი შოკში იყო, ხმა ჩაუვარდა და ერთი პირობა შემეშინდა, რამე ხომ არ დაემართა-მეთქი, მაგრამ მერე აკანკალებული ხმით რომ მიპასუხა, მე შენ მიყვარხარო — ამოვისუნთქე.

**— თუ არის ისეთი რამ, რაზეც გული გწყდებათ?**

— არა, არაფერი... ყველაფერი მაქვს. რაც მთავარია, მყავს ოჯახი, რომელიც მუშაობაში ყველანაირად მიწყობს ხელს. სამი ბიჭის დედა ვარ და სიმართლეს გეუბნებით, ყველაზე დიდი აღიარება ჩემთვის ისაა, რომ ორი წლის წინ წლის დედად დამასახელეს.

**— ჩოგბურთელებიდან ვისთან მეგობრობთ?**

— მარტინა ნავრატილოვა და ბილი ჯინ კინგი ჩემი საუკეთესო მეგობრები არიან. ჯიმი კონორსთან დღემდე ვმეგობრობ. ჯიმი ჩემი პირველი სიყვარული და ქმარი იყო. ისე მოხდა, რომ სამწლიანი თანაცხოვრების შემდეგ მშვიდად დავშორდით, მაგრამ მეგობრობას დღემდე ვინარჩუნებთ.

**— უკაცრავად და ერთს გკითხავთ: ახლანდელი მეუღლე როგორ გაიცანით?**

— ოცი წლის წინ მარტინამ კოლორადოში, თავის სახლში საახალწლო ფართიზე დამპატიჟა. ჩემი ახლანდელი მეუღლე ენდი მილი იქ გავიცანი. ენდი ამერიკის ოლიმპიური ნაკრების წევრი იყო, სამთომთოხილამურეა. კოლორადოს მთებიდან თხილამურებით დაშვება შემომთავაზა და მეც დავთანხმდი. მახსოვს, თვითონ ზურგით მისრიალებდა, პირი ჩემკენ ჰქონდა და ჩემი ხელები ეჭირა. მაშინ მეუბნებოდა კარგად სრიალებო, ქორწინების მერე კი გამომიტყდა, შენზე უნიჭო შეგირდი არასდროს მყოლიაო. ენდიმ ყველა და ყველაფერი დამავიწყა... როდესაც მეორე ქმარს, ასევე ჩოგბურთელ ჯონ ლოიდს დავშორდი, დეპრესია მქონდა. მშობლებს ჯონი ძალიან უყვარდათ და მე მამტყუნებდნენ, მთელი დღეები ჩამჩიჩინებდნენ, რომ ჯონთან უნდა დავრჩენილიყავი. ჯონი შესანიშნავი ადამიანი იყო და არის, მაგრამ მაშინ ოჯახური ცხოვრება ჩემთვის უცხო იყო და დაშორება გადავწყვიტეთ... ღმერთო ჩემო, არც კი მჯერა ამას რომ გიყვებით! მოდით, დავასრულოთ ინტერვიუ.

**— ერთიც, წარმატების საიდუმლო რა არის?**

— არ უნდა იფიქრო გეიმის და სეტის მოგებაზე, ყოველი ქულისთვის უნდა იბრძოლო და ბოლოს მოგებული დარჩები. ცხოვრებაც ამავე პრინციპით მაქვს არჩეული. ჯერჯერობით ამართლებს.

**ბაჩო სვანიძე**


პირველი უიმბლდონი



# ჰინგისის პირველი და ორმოცდამეერთე

**ქალები**
რომი. იტალია
თიხნარი
საპრიზო 1 340 000 $

**ფინალი**

**მარტინა ჰინგისი** (შვეიცარია) — დინარა საფინა (16, რუსეთი) 6:2 7:5

ახლა უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მარტინა ჰინგისი საბოლოოდ დაბრუნდა. თითქმის ოთხწლიანი შესვენების შემდეგ ამ წლის დასაწყისში ჩოგბურთისკენ მოტრიალებული შვეიცარიელი აქამდეც საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ კარგ და ელეგანტურ თამაშს ტიტულით ვერ უმაგრებდა ზურგს და კვირას ჰინგისმა პირველი რეალური და ხელშესახები შედეგი რომაულ კორტებზე მოიმკა, როცა დაბრუნების შემდეგ პირველი, კარიერაში კი 41-ე ტურნირი მოიგო.

ფინალში მარტინას უპირატესობა თვალშისაცემი იყო, დინარა საფინა კი გადაღლილი ჩანდა. მატჩის სადავეები თითქმის თავიდან ბოლომდე ჰინგისის ხელში იყო. მხოლოდ მეორე სეტში, როცა ანგარიში 4:1 იყო მის სასარგებლოდ, ოდნავ მოეშვა და საფინას საშუალება მისცა, გაეთანაბრებინა, თუმცა შემდეგ ოდნავ მოუმატა ტემპს და...

„დინარა მეორე სეტის მიწურულს თავისუფლად ათამაშდა და ცოტა მანერვიულა კიდეც, მაგრამ ჩემს გამარჯვებაში ეჭვი არ შემპარვია. ვგრძნობდი, რომ მე ვაკონტროლებდა თამაშს, ტემპსაც მე ვკარნახობდი და მეორე სეტი რომც წამეგო, მაინც დარმუნებული ვიყავი, რომ მესამეში ყველაფერს ისევ ჩემს სასარგებლოდ დავამთავრებდი“ — განაცხადა უზომოდ გახარებულმა მარტინამ.

ჰინგისმა ყველას დაუმტკიცა, რომ მას ჯერ კიდევ ეთქმის თავისი სიტყვა ჩოგბურთში. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შვეიცარიელი აშკარად უმატებს და ძველ ფორმას თანდათანობით იბრუნებს, შეიძლება ითქვას — რომაული ტრიუმფი მარტინას ისედაც გამარჯვებებით მდიდარ კარიერაში უკანასკნელი ნამდვილად არ იქნება.

„ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს კარიერაში პირველი ტიტული მოვიგე. მე მგონი, აქამდეც დავამტკიცე, რომ მაღალ დონეზე თამაში კვლავაც შემიძლია, მაგრამ ეს გამარჯვება სხვა მხრივ არის მნიშვნელოვანი — ეს თვითრწმენას მომიმატებს. ბოლოს და ბოლოს უკვე ვიცი, რომ კვლავ შემიძლია მოგება. ეს ფანტასტიკური გრძნობაა“ — ემოციებს ძლივს იკავებდა ჰინგისი.

**ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ**



*„...ბევრი მიზეზია იმისა, რაც ადამიანს პოლუსისკენ ნასვლას აიძულებს... ამ მიზეზთაგან ერთი მართლაც უმნიშვნელოვანესია. ესაა შემეცნებისკენ ლტოლვა თავად შემეცნებისთვის, საამისოდ კი დედამიწაზე ანტარქტიდაზე უკეთესი ადგილი არაა. და თუ თქვენ სამყაროს შეცნობის სურვილით ხართ შეპყრობილი და მისი განხორციელებაც გძალუძთ, მაშინ ადექით და იმოგზაურეთ. თუ თქვენ გაბედული ხართ, მაშინ არაფერსაც არ იზამთ, ხოლო თუ მშიშარა გამოდგებით, მაშინ ბევრს მიაღწევთ — მშიშარებს, როგორც არავის, თავიანთი სიმამაცის დამტკიცება სჭირდებათ. ვიღაცა თქვენ შეშლილად ჩაგთვლით და თითქმის ყველა გკითხავთ, „რატომ, რისთვის?...“ გკითხავთ იმიტომ, რომ ჩვენ დახლში მდგომი ხალხი ვართ, ხოლო ამქვეყნად არცერთი მედახლე მხარს არ დაუჭერს მკვლევარს, რომელიც მას მთელი წლის განმავლობაში მოგებას არ პირდება.*

*და თქვენ თითქმის მარტოდმარტო მოგიწევთ მარხილის თრევა, ხოლო ის რამდენიმე კაცი, ვინც მხარში ამოგიდგებათ და უღელში ჩაებმება, მედახლე არ იქნება. ეს კი ერთ რამედ ღირს და ძვირფასია. და თუ ზამთრის მოგზაურობას დაიწყებთ, ჯილდო გარანტირებული გექნებათ მანამ, სანამ თქვენს ერთადერთ სურვილად პინგვინის კვერცხი დარჩება“...*



# ᲠᲝᲪᲐ ᲯᲘᲚᲓᲝᲓ ᲞᲘᲜᲒᲕᲘᲜᲘᲡ ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲘᲐ

ეს სიტყვები ჩერი ჰარარდს ეკუთვნის, რომელიც 1911-1912 წლებში სამხრეთ პოლუსზე განხორციელებული ინგლისელი რობერტ სკოტის ექსპედიციის წევრი იყო.

რობერტ სკოტმა 1901-04 წლებში სამხრეთ პოლუსზე წარუმეტებელი ექსპედიციის მერე ჩრდილოეთ პოლუსს რომ მიაპყრო მზერა და შეიტყო, ნორვეგიელი როალ ამუნდსენი ანტარქტიდისკენ მიემართებაო, მობრუნდა და პირველობისთვის თავადაც ყინულოვანი კონტინენტისკენ გაემართა, ოღონდ სხვა გზით იარა, იქ მისულმა კი კარვის ნაგლეჯები აღმოაჩინა. თურმე როალ ამუნდსენს 33 დღით დაესწრო სკოტისთვის, უკან დაბრუნებული ინგლისელის ექსპედიცია კი მთელი შემადგენლობით დაიღუპა.

რობერტ სკოტის სიმამაცეს, შეუპოვრობას, სულიერ სიმტკიცესა და მის საარაკო, მეტად სახიფათო თავგადასავლებს მეტად აღუფრთოვანებია ჩვენი სახელოვანი მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა და მისი ახალი უკრაინელი მეგობარი ლეონიდ მიკულა, რომლებსაც ველომობილით სამხრეთ პოლუსისთვის მიღწევა განუზრახავთ. ამიტომაც, როგორც თავად გვითხრეს, რობერტ სკოტი მათი ქართულ-უკრაინული ექსპედიციის მესამე, ვირტუალური წევრი იქნება და სიმბოლურად ეს უმამაცესი ინგლისელი ამ სახიფათო, ურთულეს გზაზე მათთან ერთად გასწევს მძიმე ჭაპანს.

— ჩვენი ექსპედიცია, უპირველეს ყოვლისა, ანტარქტიდის აქამდე გაუკვალავ გზებზე ექსტრემალური მოგზაურობაა, რომელსაც ადამიანის კუნთებით გადაადგილების თვალსაზრისით მსოფლიოში ანალოგი არა აქვს — გვეუბნება ჯუმბერ ლეჟავა — როგორც ნებისმიერი სხვა, ეს მოგზაურობაც სამყაროს შემეცნებისკენ ლტოლვაა. რაც მთავარია, ესაა ექსტრემალურ ვითარებაში ნებისმიერი ასაკის, ჩვენს შემთხვევაში კი საკმაოდ მოწიფულობის ჟამს, ადამიანის ფიზიკური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური გამოცდა...

ასეთი გამოცდა 67 წლის ჯუმბერ ლეჟავასაც თავზესაყრელად გადაუტანია და 64 წლის ლეონიდ მიკულასაც.

ჯუმბერ ლეჟავას ამბები „სარბიელის“ მკითხველმაც კარგად იცის, ამიტომ ახლა ლეონიდ მიკულასას მოგახსენებთ, ვინც ასევე საკუთარ კუნთებზე დაფუძნებული მოგზაურობების დიდი მიმდევარია და გუდანაბად აკრული ხან ფეხით ფარავს ათასობით კილომეტრს, ხან ველოსიპედით, ტივით, ნავითა თუ კატამარანით.

*ჯუმბერ ლეჟავა:*

— ყინვებში მოგზაურობის დიდი გამოცდილება მაქვს. გრენლანდიაში, ჩრდილოეთ ამერიკაში და ჩრდილოეთ რუსეთში ველომოგზაურობისას რაღა არ გადავიტანე და რაღას არ გავუძელი, ანტრაქტიდაზე კი დავრწმუნდი, რომ სამხრეთ პოლუსზე მისაღწევად განსაკუთრებული თადარიგი იყო საჭირო. მერე ლეონიდ მიკულამ ისეთი იდეა შემომთავაზა, რომ მისი წინადადება მივიღე.

*ლეონი მიკულა:*

— ჯუმბერის დიდი მოგზაურობის შესახებ ამ ორი წლის წინათ უკრაინულ გაზეთებში წავიკითხე და უმალ მივხვდი, აი, ეს ის კაცია, ვისთანაც სამხრეთ პოლუსზე უნდა წავიდე-მეთქი. ჯუმბერს ჩემივე კონსტრუქციით დამზადებული ველომობილით სამხრეთ პოლუსზე ლაშქრობა წერილობით რომ შევთავაზე, მთელი სამი თვე ამაოდ ველოდი პასუხს. ის იყო იმედი გადამეწურა, რომ ამ დროს თბილისიდან ტელეფონის ზარი გაისმა... ჯუმბერთან უმალ რაღაც სულიერი ნათესაობა ვიგრძენი. აი, ასე, ტელეფონით გავიცანით ერთმანეთი.

*ჯუმბერ ლეჟავა:*

— აბა, ეს რა გაცნობა იყო, მისმა ველომობილმა ძალიან კი დამაინტერესა, მაგრამ სრულიად უცნობ კაცთან სამოგზაუროდ რა წამიყვანდა, მით უმეტეს სამხრეთ პოლუსზე. ამიტომ ვუთხარი, ძალიან კარგი, ლეონიდ. ჩამოდი თბილისში, ცოტ-ცოტა ერთად ვიმოგზაუროთ, ერთმანეთი გავიცნოთ, იქნებ ერთმანეთს ხასიათით ვერ შევეწყოთ-მეთქი.

*ლეონიდ მიკულა:*

— ეს რომ მითხრა, დავკარი ფეხი და უმალ თბილისში ჩამოვედი. საქართველოში ფეხით თუ ველოსიპედით აღმა-დაღმა ვიმოგზაურეთ. გასაბერი ნავით ალაზანზეც დავეშვით. ჯუმბერმა ამ მოგზაურობისას თავისი მეგობრებიც წამოიყვანა. ყველანი ერთმანეთზე უკეთესები აღმოჩნდნენ და დაუვიწყარი დღეები გავატარე...

აი, ერთმანეთი ასე გაიცნეს და გამოსცადეს ქართველმა და უკრაინელმა, რომლებსაც თავიანთ ველომობილიანად მკაცრი გამოცდა ანტარქტიდაზე ელით, თუ ელით. ისინი პოლუსამდე გზის დაფარვას 65 დღის განმავლობაში ვარაუდობენ. იქ, იმ ყინულოვან კონტინენტზე ზაფხულში 30-50 გრადუსი ყინვაა, ზამთარში კი 60-70, მინუს 90 გრადუსიც აღუნუსხავთ. ახლა ამას დაუმატეთ ქარბუქი და ქარიშხალი, რომელიც ანტარქტიდაში ჩვეულებრივი რამაა. ამასთან, მოგზაურთა 1800-2000-კილომეტრიანი გზა გაივლის დაახლოებით 2040 მეტრის სიმაღლეზე, რაც ანტარქტიდის საშუალო სიმაღლეა, ეს კი ჟანგბადის 40-45 პროცენტიან ნაკლებობას განაპირობებს. ერთადერთი შეღავათი, რაც მოგზაურებს ელით, ისაა, რომ ანტარქტიდაზე პრაქტიკულად ღამე არ იცის და 20 საათის განმავლობაში სინათლეა.

მაგრამ ისე როგორ იქნება, რომ არ ვთქვათ ლეონიდ მიკულას მიერ დაპროექტებულ ველომობილზე, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება.

ეს ოთხთვლიანი, დახურული ველომობილია, რომელსაც ჩვეულებრივი ველოსიპედის მსგავსი ბორბლები აქვს. ისინი პედლების ტრიალით მოდიან მოძრაობაში.

ველომობილიო, კი ვამბობთ, „პინგვინ-MC“-ზე როგორც მას ლეონიდმა უწოდა, მაგრამ ეს ველოსიპედი საჭიროებისამებრ ხან ველომობილი იქნება, ხან წყლის ველოსიპედი, ხანაც აფრიანი ნავი, მარხილი, ნახევრად მარხილი, ციგა თუ ბუერი. რაც მთავარია, ეს იქნება ქართველ-უკრაინელის საერთო სახლი და ციხესიმაგრე, სადაც ღამისთევას თუ დასვენებას მომზადება საერთოდ არ სჭირდება, რაც პოლუსზე მოგზაურებს ჩვეულებრივ მთელი დროის 70 პროცენტს აკარგვინებს.

ამ „სახლმა“ წარმატებით გაუძლო 65-გრადუსიან ყინვაში გამოცდას და მისი შემქმნელის ვარაუდით, შიგნით ნული გრადუსი იქნება მაშინ, როცა გარეთ ყინვა 50 გრადუსზე დაიწევს. ამასთან, „სახლის“ გათბობა პლუს 12-გრადუსამდეც იქნება შესაძლებელი. ერთი ეგაა, რომ როგორც მოგზაურები ვარაუდობენ, „პინგვინის“ თრევა ქართულ-უკრაინულ ტანდემს, მარხილივით უფრო მოუწევთ, ვიდრე აფრისა და პედლების დახმარებით.

თუმცა, როგორც ზემოთაც ვთქვით, უღელში რობერტ სკოტიც იქნება. მათ მზერას თავდაპირველად გააყოლებენ პინგვინები და სელაპებიც, თუმცა მერე აღარც ისინი იქნებიან, რადგან სანაპიროს იქით სულიერი აღარ ცხოვრობს, თუმცა, იქ, პოლუსზე, მაინც დახვდებათ ამერიკელ მოზამთრეთა სამეცნიერო ექსპედიცია — ბანაკი „ამუნდსენ-სკოტი“, ლაშქრობა კი დაიწყება ინგლისელთა პოლარულ სადგურ „ბელგრანო-2“-დან ან არგენტინელთა სადგურ „ჰალიდან“. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რომელი მათგანი მიიღებს ქართულ-უკრაინულ ექსპედიციას. ორივეს უარის შემთხვევაში ლეჟავა-მიკულას ტანდემი სასტარტოდ უპატრონო ადგილს მოძებნის, რაც ნამდვილად არ გაუჭირდება და იქაურობასაც ლეჟავა-მიკულას უწოდებს.

„პინგვინი MC“, ჯუმბერ ლეჟავა, ლეონიდ მიკულა და მათი ეკიპაჟის ვირტუალური წევრი რობერტ სკოტი ანტარქტიდაზე უედელის ზღვის სანაპიროდან ნოემბერში გამოჩნდებიან და მომავალი წლის თებერვლამდე ჭაპანწყვეტაც იქნება, მანამდე კი ამ მოგზაურობისთვის საჭირო 75 ათასი ევროს უკრაინაში მოძიება გაგრძელდება. როგორც ჯუმბერ ლეჟავამ გვითხრა, უმეტესობა, როგორც მიკულამ იკისრა, უკრაინაში უკვე მოძიებულია, თავად ლეჟავამ კი ის მცირეც ვერ იშოვა, რაც ეკისრებოდა. ამიტომ ახლა ორივენი ისევ უკრაინელთა იმედზე არიან.

**ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როსი შვიდზე ჩერდება?



AFP ლუ მანიდან

ანდრეა დოვიზიოსომ მარცხის მიუხედავად ლიდერობა შეინარჩუნა

**ამგვარი** უხეირო სეზონი იტალიელ მოტომხედარ ვალენტინო როსის არასდროს ჰქონია. ხუთ რბოლაში ერთადერთი მოგება, ორჯერ ზედიზედ ფინიშამდე ვერ მიღწევა და სატურნირო ცხრილში მხოლოდ მერვე ადგილი — მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონისთვის კი არა, ნებისმიერი ტიტულმაძიებლისთვის სამარცხვინო ჩაფლავებაა.

მორიგი მარცხი „დოქტორს" კვირას საფრანგეთში ჯირითისას შეემთხვა. ვალენტინო სტარტზე საკმაოდ უკან — მეშვიდე იდგა, მაგრამ თავიდანვე ჩვეულ სტილში, აგრესიულად შეუდგა საქმეს და უკვე პირველივე წრეზე ორი პოზიციით გაიუმჯობესა ვითარება, სამიოდ წუთში კი დიდოსტატურად, გაჩერებულებივით ჩამოიტოვა მიყოლებით ლორის კაპიროსი, მარკო მელანდრი, დანიელ პედროსა და დაწინაურებულ ჯონ ჰოპკინსს გამოუდგა. მეხუთე წრეზე ისიც მოინელა და თავქუდმოგლეჯილი გავარდა ფინიშისკენ. ჰოპკინსმა დიდხანს ვერ გაძლო — მას შემდეგ, რაც პედროსამაც უკან ჩამოიტოვა, ერთ-ერთ მოსახვევში დაეცა და პრაქტიკულად გამოეთიშა ბრძოლას.

როსი ყოველ წრეზე ზრდიდა ქარავანთან უპირატესობას და შუა დისტანციაზე უკვე 3,5 წამით დაშორდა უახლოეს მდევარს, პოულის მომგებ პედროსას. ასე რომ, „სამეფო კლასში" მის სარეკორდო, 55-ე გამარჯვებასაც თითქოს არაფერი ედგა წინ, მაგრამ ფინიშამდე შვიდი წრით ადრე ჩემპიონის „იამაჰაზე" კომპიუტერმა აურია და ძრავა გაითიშა.

აღსანიშნავია, რომ წინა, ჩინურ ეტაპზე როსიმ ბრძოლა საბურავის მიზეზით ვერ დაასრულა, როცა ფინიშამდე თითქმის იმდენივე, 30 კილომეტრი რჩებოდა.

რა თქმა უნდა, კრიზისზე ლაპარაკი ზედმეტია და თანაც სეზონის ბოლომდე ძალიან ბევრი, 12 დიდი პრიზია გასათამაშებელი, თუმც მაინც ვფიქრობთ, რომ 27 წლის „დოქტორს" ძალიან გაუჭირდება მორიგი ტიტულის მოპოვება.

ვერც მოულოდნელად გალიდერებულმა პედროსამ გაძლო ბოლომდე — ჯერ იყო და ორმაგ მოსახვევში მელანდრიმ ოსტატურად გაასწრო, დასკვნით წრეზე კი მეორე იტალიელმა, კაპიროსიმაც ჩამოიტოვა. მელანდრიმ წლეულს მეორე მოგებით მკვეთრად შეამცირა ლიდერ ნიკი ჰეიდენთან 18-ქულიანი ჩამორჩენა.

დაბალ კატეგორიებშიც ბოლომდე უშელავათო ბრძოლა იყო. იუკი ტაკაჰასიმ რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ ზედ ფინიშის ხაზზე შეძლო ანდრეა დოვიზიოსოს გადასწრება. ეს 21 წლის იაპონელის პირველი საკარიერო გამარჯვებაა, ხოლო დოვიზიოსო, მიუხედავად იმისა, რომ სეზონში ჯერ ერთი დიდი პრიზიც ვერ მოუგია, დამაჯერებლად ლიდერობს საერთო ჩათვლაში — ესპანელ ექტორ ბარბერასთან სხვაობა 11 ქულით გაზარდა.

125-იან კლასში ბოლო წრემდე ლიდერობდა ესპანელი ალვარო ბატისტა, მაგრამ რამდენიმე მოსახვევილა რჩებოდა, როცა მისმა „აპრილიამ" სისწრაფე დაკარგა და ძლივს, მხოლოდ მეოთხე მიგორდა ფინიშთან. წლეულს პირველი გამარჯვება იზეიმა მოქმედმა ჩემპიონმა ტომას ლუტიმ, თუმც სატურნირო ცხრილში კვლავ ძალიან უკან, მეშვიდე ადგილზეა ბატისტასთან 62-ქულიანი პასივით.

**გია ახალაძე**

## მსოფლიოს ჩემპიონატი. მეხუთე ეტაპი

### საფრანგეთის დიდი პრიზი. ლე მანი— 4,180 კმ

**მოტო გრან პრი — 117,0 კმ**

1 მარკო მელანდრი (იტალია, ფორტუნა ჰონდა) — 44 წთ; 57,4
2 ლორის კაპიროსი (იტალია, დუკატი მარლბორო) — ჩამორჩა 1,9
3 დანიელ პედროსა (ესპანეთი, რეპსოლ ჰონდა) — 2,3

**საერთო ჩათვლა**

1 ნიკი ჰეიდენი (აშშ, რეპსოლ ჰონდა) 83 ქულა; 2 მელანდრი 79; 3 კაპიროსი 79; 4 პედროსა 73; 5 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, ჰონდა) 65

**250 სმ³— 108,7 კმ**

1 იუკი ტაკაჰასი (იაპონია, ჰუმანჯესტ ჰონდა) — 43 წთ; 42,8
2 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, ჰუმანჯესტ ჰონდა) — ჩამორჩა 0,1
3 სუჰეი აოიამა (იაპონია, რეპსოლ ჰონდა) — 2,2

**საერთო ჩათვლა**

1 დოვიზიოსო 92 ქულა; 2 ექტორ ბარბერა (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია) 78; 3 ჰიროსი აოიამა (იაპონია, რედ ბულ KTM) 75; 4 ტაკაჰასი 67; 5 ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია) 63

**125 სმ³— 100,3 კმ**

1 ტომას ლუტი (შვეიცარია, ელიტ-კაფე ჰონდა) — 42 წთ; 54,6
2 მიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM) — ჩამორჩა 3,4
3 ფაბრიციო ლაი (იტალია, ზეედორფ ჰონდა) — 9,8

**საერთო ჩათვლა**

1 ალვარო ბატისტა (ესპანეთი, ასპარ აპრილია) 99 ქულა; 2 კალიო 78; 3 ექტორ ფაუბელი (ესპანეთი, ასპარ აპრილია) 56; 4 სერხიო გადეა (ესპანეთი, ასპარ აპრილია) 54; 5 მატია პასინი (იტალია, ასპარ აპრილია) 49



## მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში
### მეშვიდე ეტაპი. იტალია. 345,0 კმ

**რბოლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | 3სთ; 54.18,9 |
| 2 | მიკო ჰირვონენი (ფინეთი, ფორდი) | ჩამორჩა 2.41,4 |
| 3 | დანიელ სორდო (ესპანეთი, სიტროენი) | 3.27,7 |
| 4 | ხავიერ პონსი (ესპანეთი, სიტროენი) | 5.28,3 |
| 5 | იუსი ვალიმიაკი (ფინეთი, მიცუბისი) | 7.08,8 |
| 6 | კრისტიან სოჰლბერგი (ფინეთი, სუბარუ) | 7.36,9 |
| 7 | მანფრედ შტოლი (ავსტრია, პეჟო) | 8.18,4 |
| 8 | ფრანსუა დიუვალი (ბელგია, შკოდა) | 9.45,8 |

**საერთო ჩათვლა**

1 ლოები — ელენა 66 ქულა; 2 გრონჰოლმი — რაუტიაინენი (ფინეთი, ფორდი) 35; 3 სორდო — მარტი 30; 4 შტოლი — მინორი 20; 5 პეტერ სოლბერგი — მილსი (ნორვეგია, სუბარუ) 18; 6 ჰირვონენი — ლეჰტინენი 15; 7 გალი — ბერნაჩინი (იტალია, პეჟო) 11; 8 პონსი — დელ ბარიო 10; 9 ბენგუ — ესკუდერო (საფრანგეთი, პეჟო) 9; 10 ატკინსონი — მაკნილი (ავსტრალია, სუბარუ) 8

**კონსტრუქტორთა თასი**

კრონოს ტოტალ სიტროენი 85 ქულა, BP-ფორდი 65, სუბარუ WRT 58, OMV პეჟო ნორვეი 36, სტობარტ ფორდი 15, რედ ბულ შკოდა 11



AFP კორბისიდან

სებასტიენ ლოებმა 25-ე დიდი პრიზი დაისველა



# ფინეთში მძიმე ხანჯლით მივდივართ



ნაკრების გუშინდელ ვარჯიშზე მძიმედ დაშავდა ნაკრების ძირითადი მძიმეწონოსანი, მსოფლიო პრიზიორი ლაშა გუჯეჯიანი. მის ნაცვლად ევროპის ჩემპიონატზე ფინეთის ქალაქ ტამპერეში იჭიდავებს ზვიად ხანჯალიაშვილი, რომელიც მძიმე ტრავმის შემდეგ ფორმაში ახლაღა შედის.



## მსოფლიოს ჩემპიონატი 2006. რიგა

**ფინალი**

**შვედეთი 4:0 ჩეხეთი** *2:0 2:0 0:0*

1:0 მატსონი (15), 2:0 ემვალი (16), 3:0 კრონვალი (25), 4:0 ი. იუნსონი (38)

**მე-3 ადგილისთვის მატჩი**

**ფინეთი 5:0 კანადა** *1:0 2:0 2:0*

1:0 კალიო (5), 2:0 ო. იოკინენი (26), 3:0 ჰალი (37), 4:0 მიეტინენი (43), 5:0 ი. იოკინენი (54)

**ტურნირის MVP**

ნიკლას კრონვალი (შვედეთი)

**საუკეთესო მოთამაშეები**

*მეკარე* -იოჰან ჰოლმკვისტი (შვედეთი)
*მცველი* -ნიკლას კრონვალი (შვედეთი)
*ფორვარდი* -სიდნი კროსბი (კანადა)

**ტურნირის ოლ სტარი**

მეზინი (ბელორუსია); ნუმელინი (ფინეთი) — კრენვალი (შვედეთი); სიდნი კროსბი (კანადა) — დავიდ ვიბორნი (ჩეხეთი) — ალექსანდრ ოვეჩკინი (რუსეთი)

**ბომბარდირები**

კროსბი (კანადა) 16(8+8), ბერჟერონი (კანადა) 14(6+8), ნუმელინი (ფინეთი) 14(3+11), კრონვალი (შვედეთი) 10(2+8), ოვეჩკინი (რუსეთი) 9(6+3), გრაბოვსკი (ბელორუსია), კარლსონი (შვედეთი) 9(5+4), სამელსონი (შვედეთი) 9(4+5), კოპიტარი (სლოვენია), მალკინი (რუსეთი), ვიბორნი (ჩეხეთი) 9(3+6)

## პლეი ოფი 2006

**21 მაისი**

**დასავლეთი**

ანაჰაიმი 0:2 ედმონტონი

**ანაჰაიმი 1:3 ედმონტონი** *0:1 1:1 0:1*

0:1 პრონგერი (14), 1:1 ფრიზენი (27), 1:2 პიზანი (38), 1:3 პეკა (60)

## საჭადრაკო ოლიმპიადა 2006

**20 მაისი — 4 ივნისი. ტურინი. იტალია**

**I ტური**

**კაცები**

**საქართველო 4:0 ICSC**

| | | |
|---|---|---|
| გიგა ყაჭეიშვილი | 1:0 | ვესელინ გეორგიევი |
| მერაბ გაგუნაშვილი | 1:0 | სერგეი სალოვი |
| თამაზ გელაშვილი | 1:0 | ამანგელდი ნორიზგალიევი |
| დავით არუთუნიანი | 1:0 | ვლადიმირ კოვალენკო |

**ქალები**

**საქართველო 3:0 ისლანდია**

| | | |
|---|---|---|
| ნინო ხურციძე | 1:0 | ლენკა ფტაჩნიკოვა |
| ნანა ძაგნიძე | 1:0 | გუდლაუგ სორშშტაინსდოტირი |
| ლელა ჯავახიშვილი | 1:0 | ლილია გრეტარსდოტირი |

# ქართველებმა მშრალად დაიწყეს

**ქართველმა** მოჭადრაკეებმა ოლიმპიადა წარმატებით დაიწყეს, ვაჟებმა მუნჯების ჭადრაკის საერთაშორისო კომიტეტის ნაკრებს სძლიეს, ხოლო ქალებმა ისლანდიას. ჩვენს დიდოსტატებს პირველ ტურში ადვილი მეტოქეები შეხვდათ და, როგორც ანგარიშებიდან ჩანს, მათი დამარცხება არ გასჭირვებიათ. ჯერჯერობით ასეთი შედეგი კი ბევრ გუნდს აქვს და რაიმე შანსებზე საუბარი ნაადრევია.

ვაჟთა შეჯიბრში ერთი სენსაცია დაფიქსირდა, მეორე ნომრად შერაცხულმა ინდოეთის ნაკრებმა მაროკოელებთან 1:3 წააგო. ინდუსებს ამ მატჩში მთავარი ლიდერი ვიშვანათან ანანდი არ ჰყავდათ, რაც მათთვის დიდი დანაკლისია.

**ლაშა გეგეჭკორი**

**II ტური**

**კაცები**

**ირანი 1,5:2,5 საქართველო**

| | | |
|---|---|---|
| ეჰსან გჰაემმაგჰამი | 0,5:0,5 | ლევან ფანცულაია |
| მორთეზა ზარდასტ მაჰჯობი | 0,5:0,5 | გიორგი ყაჭეიშვილი |
| მოჰსენ შარბაფი | 0,5:0,5 | მერაბ გაგუნაშვილი |
| ელშან მორადიაბადი | 0:1 | თამაზ გელაშვილი |

**ქალები**

**ბელარუსი 1:2 საქართველო**

| | | |
|---|---|---|
| ნადეჟდა აზაროვა | 0:1 | ნინო ხურციძე |
| ნატალია პოპოვა | 0:1 | ნანა ძაგნიძე |
| ანა შარევიჩი | 1:0 | მაია ლომინეიშვილი |



AFP მარკუ ალუმარტადან



AFP ტინიდან




AFP სიტიმედიადან

რონალდინიოს რომ გოგო კოცნის, მისი დაა. და ძმას სამშობლოდან შვეიცარიაში აცილებს, სადაც ბრაზილიის ნაკრები დაბანაკდება.
ტიერი ანრის, ქურქში გამოწყობილი მეუღლე ნიკოლი ესაუბრება, ხოლო ფეხბურთელს ხელში შვილი თეა და მისი სათამაშო უჭირავს. ანრი სამხრეთ საფრანგეთში, ტინესში მიდის შეკრებაზე.
ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელი კარელ ბრიუკნერი კი ველოსიპედით მისეირნობს. მისი გუნდი ავსტრიის ქალაქ ზეეფელდში სამუნდიალოდ ემზადება.
იენს ლემანი ჟენევაშია და ხელთათმანებს არჩევს, ხოლო მისი „არსენალის“ დამაქცევარ ჰენრიკ ლარსონს ბალღები ებლაუჭებიან. ლარსონი ხომ ჩემპიონთა ლიგის ფინალის გმირი გახდა.




AFP ფენევიდან



AFP ფიხმიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge